პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 18 დეკემბერი, 1951 წ. № 295 (9149). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ სახალხო სასამართლოების არჩევნებს — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სამგორის მიწაზე დასახლდა პირველი სოფელი (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება—მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას სათანადო ყურადღება არ ექცევა (მე-2 გვერდი).
მუსიკალური ხელოვნების ახალი წარმატებებისათვის—„პრავდის“ 17/XII მოწინავე (მე-2 გვერდი).
სახალხო მოსამართლის კანდიდატები (მე-2 გვერდი).
დ. ჯანელიძე — ნ. გოგოლის „რევიზორი“ მარჯანიშვილის თეატრში (მე-3 გვერდი).
შ. ჰოჯუა — ალრიცხვა მოუგვარებელია, საკოლმეურნეო ქონებას ანიავებენ (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).
ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ნოტა ინგლისის მთავრობისადმი (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ სახალხო სასამართლოების არჩევნებს

მოახლოვდა საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დღე — 23 დეკემბერი. ამ დღეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩევენ სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს.

არჩევნებისათვის მზადების დღეები ხასიათდება მშრომელთა ახალი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობით. ქართველი ხალხი, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, თავდადებით იბრძვის ბოლშევიკური პარტიისა და ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად, ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად.

მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა წინასაარჩევნო კრებებმა საქართველოს სსრ საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ახალმშენებლობებზე, აგრეთვე მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლების საოლქო თათბირებმა. წინასაარჩევნო კრებებსა და თათბირებზე კიდევ ერთხელ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა დემოკრატიის დიდმა უპირატესობამ კაპიტალისტური ქვეყნების ცრუდემოკრატიასთან შედარებით. წინასაარჩევნო დღეებმა კვლავ და კვლავ ცხადყო, თუ რა დიადი უფლებებით აღჭურვა სტალინურმა კონსტიტუციამ საბჭოთა მოქალაქენი, რომლებმაც სახალხო სასამართლოების შემადგენლობაში დაასახელეს სამშობლოსათვის ერთგული და თავდადებული ადამიანები. სასამართლო ორგანოებში აარჩევად საუკეთესო ადამიანთა დასახელებით ხალხმა კვლავ გამოხატა ულრმესი სიყვარული და ნდობა მშობლიური საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომელიც შექმნეს პროგრესული კაცობრიობის დიდმა ბელადებმა—ლენინმა და სტალინმა.

მოეწყო ამომრჩეველთა შეხვედრები სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატებთან. ამ შეხვედრების დროს ამომრჩევლებმა თავიანთი ნდობით აღჭურვილ ადამიანებს მისცეს განაწესი, რომელიც დასახელებულ კანდიდატებს ავალებს მტკიცედ იდგნენ საბჭოთა მართლმსაჯულების სადარაჯოზე, ფხიზლად დაიცვან სოციალისტური საკუთრება და მოქალაქეთა პირადი უფლებები, უფრო აამაღლონ სახალხო სასამართლოს აღმზრდელობითი როლი, ახალ საფეხურზე აიყვანონ სასამართლო ორგანოების მუშაობა.

სახალხო სასამართლოების არჩევნების მომზადებულად შესახვედრად სერიოზული მუშაობაა გაშლილი. აგიტპუნქტები საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ნამდვილი ცენტრები გახდნენ. აქ მოსული ამომრჩევლები ღრმა ინტერესით ისმენენ მოხსენებებს და ლექციებს სტალინურ კონსტიტუციაზე, სახალხო სასამართლოების როლსა და მნიშვნელობაზე, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკაზე, ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ მშვიდობის მომხრეთა მძლავრ ბრძოლაზე.

საგიტაციო და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლასთან ერთად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არჩევნებისათვის მზადების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარეს. ყველა პირობა უნდა შევქმნათ იმისათვის, რომ თვითეულმა საბჭოთა მოქალაქემ განახორციელოს სტალინური კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული საპატიო უფლება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამომრჩეველთა სწორად შედგენილ სიებს. ბუნებრივია, რომ ამომრჩეველთა სიები შედგენილი უნდა იყოს სიზუსტით და იქ შეტანილი იყოს ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა მოქალაქე. როგორც ადგილებიდან მიღებული სიგნალები მოწმობენ, მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი სერიოზულად არ მოეკიდა ამომრჩეველთა სიების შედგენას. არის სიაში ამომრჩევლების გამოტოვების, მათი გვარისა და სახელის დამახინჯების ფაქტები. კერძოდ ეს ითქმის ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების კიროვის რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ შედგენილ სიებზე.

აუცილებელია სიების შედგენისას დაშვებულ დამახინჯებათა სასწრაფოდ გამოსწორება. საბჭოს დეპუტატებისა და აქტივის დახმარებით კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შემოწმდეს, შეტანილია თუ არა ყველა ამომრჩეველი სიაში. დამახინჯებათა გამოვლინებისა და გამოსწორების ერთ-ერთი პირობა ის არის, რომ ამომრჩევლებმა პირადად შეამოწმონ სიები. სამწუხაროდ, მშრომელთა დეპუტატების ყველა ადგილობრივმა საბჭომ როდი შექმნა სამისო პირობები. მაგალითად, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონში № 10 და № 12 საარჩევნო პუნქტების შენობათა რემონტი სწორედ წინასაარჩევნო დღეებში გაახსენდათ. რემონტის გამო საარჩევნო პუნქტები ოთახიდან ოთახში გადააქვთ, ამომრჩეველთა სიებს ხსნიან და ხელმეორედ აკრავენ და სხვ. ქ. რუსთავის საარჩევნო პუნქტების უმრავლესობა მთელ დღეს დაკეტილია. ცხადია, ასეთ პირობებში ამომრჩევლებს საშუალება არ აქვთ სიები შეამოწმონ, და შეცდომებიც გამოუსწორებელი რჩება.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მართებთ საჭირო მზრუნველობა გამოიჩინონ ხმის მიცემისათვის საარჩევნო პუნქტების შენობათა მოსამზადებლად, კულტურულად, საარჩევნო კანონის ყველა მოთხოვნის შესაბამისად მოაწყონ ის ოთახები და კაბინები, სადაც კენჭისყრა იწარმოებს. მაგრამ ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საარჩევნო პუნქტების მოწყობა ჯერ ადრე ჰგონია. ასეა ქედის რაიონში, სადაც საარჩევნო პუნქტების მეტი ნაწილი მოუწყობელია, ხმის მიცემისათვის ოთახები და კაბინები მზად არ არის. მსგავს მაგალითებს სხვაგანაც შევხვდებით.

ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოფხვრას, საარჩევნო პუნქტებში მოქალაქეთა მიერ ხმის მიცემის უფლების განსახორციელებლად ყველა პირობის შექმნას, კაბინების, საარჩევნო ყუთების დროზე მომზადებას ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ცნობილია, საარჩევნო ბიულეტენების მიღება და ხმის დათვლა საარჩევნო პუნქტში ეკისრებათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების რწმუნებულთ, რომლებთანაც შექმნილია დამთვლელი კომისიები. არჩევნებამდე დარჩენილ დღეებში გულდასმით უნდა შევამოწმოთ, მზად არიან თუ არა აღმასკომების რწმუნებულები და დამთვლელი კომისიები მათთვის დაკისრებული პასუხსაგები მოვალეობის შესასრულებლად.

სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა სასარგებლო აგიტაცია, რასაც ამჟამად ათასობით აგიტატორი ეწევა, საჭიროა უფრო გავაძლიეროთ. აუცილებელია თვითეული ამომრჩეველი კარგად იცნობდეს იმ პირთა შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობას, რომლებიც დასახელებული არიან სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების პოსტებზე. ეს უზრუნველყოფს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ახალ გამარჯვებას. სასამართლო ორგანოებში დასახელებული ადამიანებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით ამომრჩევლები კვლავ დაადასტურებენ ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას.

არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საპატიო მოვალეობას შეადგენს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ სახალხო სასამართლოების არჩევნების დღეს, წარმატებით ჩაატარონ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეოთხე ტომი აზერბაიჯანულ ენაზე

ბაქო. (საკდესი). აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ აზერბაიჯანულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეოთხე ტომი.

თარგმანი რუსული გამოცემიდან შესრულებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალის მიერ.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთოთხმეტე ტომი ყაზახურ ენაზე

ალმა-ატა. (საკდესი). ყაზახეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ყაზახურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთოთხმეტე ტომი.

რუსული გამოცემიდან თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ყაზახეთის ფილიალმა.

ს ა ბ ჭ ო თ ა   კ ა ვ შ ი რ შ ი

მეცნიერები კომუნიზმის დიად მშენებლობებს

მშენებლობის ორგანიზაციისა და მექანიზაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დამთავრდა „ეშ-4/40“ მოსიარულე ექსკავატორის რეკონსტრუქციის პროექტის შემუშავება.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ინსტიტუტის დირექტორმა პ. კ. ჩერკასოვმა განაცხადა:

— ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა ნ. ავერინმა და ე. პეტერსმა შეიმუშავეს იმ მოსიარულე ექსკავატორის რეკონსტრუქციის პროექტი, რომელსაც კომუნიზმის დიად მშენებლობებზე იყენებენ. მათ გადაწყვიტეს გაადიდონ მანქანის წარმადობა. მოსიარულე ექსკავატორი, როგორც ცნობილია, სამუშაო დროის 60-70-მდე პროცენტს ისრის მობრუნებაზე ხარჯავს. ექსკავატორის ახალი კონსტრუქციით დროის ეს არარაციონალური ხარჯვა ისპობა. გრუნტი ჩაიტვირთება პირდაპირ ტრანსპორტიორებში, რომლებითაც მას მიიტანენ დასატვირთავ ესტაკადებთან.

ამრიგად, საჭირო აღარ არის ციცხვიანი ისრის მობრუნება. გარდა ამისა, დიდდება ციცხვის ტევადობა. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ერთისამად—ერთიოთხად გადიდდეს მანქანის წარმადობა. რეკონსტრუირებულ მანქანას წინანდელზე ხუთჯერ ნაკლები წონა ექნება. (საკდესი).

მიჩურინული მეხილეობის მუზეუმი

მიჩურინსკი. (საკდესი). ი. ვ. მიჩურინის სახელობის მეხილეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დღეს გაიხსნა ახალი მუზეუმი. სტენდებზე წარმოდგენილია ი. ვ. მიჩურინისა და მისი მიმდევრების მიერ გამოყვანილი ხეხილისა და კენკრის ჯიშები.

მუზეუმის ექსპონატები ახასიათებენ სარატოვის, გორკის და ხეხილისა და კენკრის სხვა საცდელი სადგურების საქმიანობას. გამოფენილია იმ მანქანების მაკეტები, რომლებსაც მებაღეობაში იყენებენ. ფართოდ არის ნაჩვენები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელსაც ინსტიტუტი და მისი საცდელი სადგურები ეწევიან კომუნიზმის დიად მშენებლობათა ზონებში მებაღეობის განვითარებისათვის.

დიად მშენებლობაზე

ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძი. (საკდესი). ვოლგა-დონის სანაოსნო გზის მეთოთხმეტე რაბს მშენებლები „დონის კარს“ უწოდებენ. მომავალი წლის ზაფხულში რუსეთის დიდ მდინარეში პირველი გემები გამოვლენ ციმლიანსკაიას ზღვიდან. რაბზე ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე დამთავრდა ბეტონის დაგება. მემონტაჟეებმა დაიწყეს საექსპლოატაციო მოწყობილობის დადგმა. უკვე აწყობილია ხუთას ტონამდე ლითონკონსტრუქციები.

დღეს დაიწყო სამუშაო კარის მონტაჟი რაბის ზედა ნაწილში. გაჩაღებულია ბეტონის დაგება მისაბმელის კედლებში.

ფართოდ გაიშალა სამონტაჟო სამუშაოები მეთხუთმეტე რაბზე—სანაოსნო გზის უკანასკნელ რაბზე. მისაბმელ მოწყობილობათა დადგმა, წყალსადენ გალერეათა მოპირკეთება და სხვა სამუშაოები აქ გრაფიკით გათვალისწინებულზე ორი-სამი თვით ადრე სრულდება.

მდინარიდან რამდენიმე კილომეტრზე, გაშლილ ველში შენდება ციმლიანსკაიას ზღვის ნავსადგური. ახლა აქ მთავრდება შპუნტების ჩასობა.

დღეს ნავსადგურის მშენებლებმა დაიწყეს ძირითად ნაგებობათა ფერდობების მოპირკეთების დასამთავრებელი სამუშაოები.

ნავთის მრეწველობის მუშაკები ჯილდოს იღებენ ნამსახურობისათვის

დაიწყო ნავთის მრეწველობის საწარმოთა მუშაკებისათვის ერთდროული ჯილდოს მიცემა ნამსახურობისათვის. აზერბაიჯანის, გროზნოს, კრასნოდარის მხარის, ჟოლგისპირეთის, შუა აზიისა და სხვა რაიონების ნავთის მრეწველობის მუშაკებს მიეცათ 200 მილიონზე მეტი მანეთი. (საკდესი).

სასურსათო ბაზა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებისათვის

ნუკუსი, 15 დეკემბერი. (საკდესი). შუა აზიის ჰიდრომშენის სამმართველო თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობასთან ერთად წარმატებით წყვეტს საკუთარი სასურსათო ბაზის შექმნის საკითხს. არხის ზონაში მოწყობილმა საბჭოთა მეურნეობამ და ორმა დამხმარე მეურნეობამ დიდძალი კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული მისცეს მშენებლებს. უკვე მიმდინარე წელს საბჭოთა მეურნეობამ და მშენებლობის დამხმარე მეურნეობებმა იკისრეს მშენებელთა მომარაგებისათვის ზრუნვა, გაათავისუფლეს სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ასობით ვაგონი და სხვა ტრანსპორტი, შესაძლო გახადეს 300 ათას მანეთზე მეტის დაზოგვა ტვირთზიდვაზე.

ამჟამად საბჭოთა მეურნეობასა და დამხმარე მეურნეობებში მიმდინარეობს გაზაფხულისათვის მზადება. მთელი ფართობი მზრალად მოხნულია, დამზადებულია თესლი. სახელოსნოებში სავსებით გამზადებული დგას ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. შემოღებულია სწორი თესლბრუნვა, რწყვის ახალი სისტემა.

ახალი რაიონი ყარა-ყუმში

აშხაბადი, 10 დეკემბერი. (საკდესი). თურქმენეთში, დასავლეთ ყარა-ყუმის ქვიშნარში, თურქმენეთის მთავარი არხის ტრასზე შეიქმნა ახალი რაიონი — ყუმ-დაგის რაიონი.

ყუმ-დაგში დიდი მშენებლობა გაჩაღდა. დღეს საექსპლოატაციოდ გადაეცა 400-ადგილიანი კლუბი. ახალი დაბის მცხოვრებლებმა წელს მიიღეს 6.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მუშაობა დაიწყეს სკოლებმა, საავადმყოფომ, ბაგამ, საბავშვო ბაღმა.

ახლა მიმდინარეობს სამი ახალი უბნის გაშენება. დაწყებულია პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის შენობების აგება. წარმოებს საცხოვრებელი სახლებისა და სამრეწველო ობიექტების გაზიფიკაცია.

სსრ კავშირის XIX საჭადრაკო პირველობის საზეიმო დახურვა

15 დეკემბერს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოხდა სსრ კავშირის XIX საჭადრაკო პირველობის საზეიმო დახურვა.

ჩემპიონატის შედეგების შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ტურნირის მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ა. რომანოვსკიმ. დედაქალაქის მოჭადრაკეთა საზოგადოებრიობის სახელით იგი მიესალმა შეჯიბრებაში გამარჯვებულს გროსმაისტერ პ. კერესს, რომელმაც მესამედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება ჭადრაკში. ამხ. რომანოვსკიმ აღნიშნა, რომ ტურნირის ყველა პარტია მწვავე და დაძაბული ბრძოლით ხასიათდებოდა. დიდ წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა: ოდესელმა ოსტატმა ე. გელერმა, მოსკოვის ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა, აგრეთვე ლენინგრადელმა ოსტატმა ნ. კოპილოვმა და მოსკოველმა ოსტატმა ვ. სიმაგინმა.

შემდეგ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ გადაეცათ პრიზები და ჯილდოები. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა გროსმაისტერ პ. კერესს. ოსტატები გელერი და პეტროსიანი, რომლებმაც მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს, დაჯილდოებულ იქნენ ვერცხლის უჯრონებით და მეორე ხარისხის დიპლომებით.

დიდი რუსი მოჭადრაკის მ. ი. ჩიგორინის სახელობის პრიზები ტურნირის ულამაზესი პარტიებისათვის მიიღეს გროსმაისტერმა ვ. სმისლოვმა პარტიისათვის ვ. სიმაგინის წინააღმდეგ, ოსტატმა გელერმა პარტიისათვის მ. ტაიმანოვის წინააღმდეგ და ოსტატმა ვ. სიმაგინმა პარტიისათვის ო. მოისეევის წინააღმდეგ.

გროსმაისტერმა პ. კერესმა და ოსტატმა ტ. პეტროსიანმა მიიღეს პრიზები საუკეთესო შედეგებისათვის უკანასკნელ ხუთ ტურში, გროსმაისტერებმა ა. კოტოვმა და ს. ფლორმა —საუკეთესო შედეგებისათვის პრიზიორთა წინააღმდეგ. თასით დაჯილდოებულია ოსტატი ნ. კოპილოვი, რომელმაც მოუგო პარტიები მსოფლიოს ჩემპიონს გროსმაისტერ მ. ბოტვინიკსა და სსრ კავშირის ჩემპიონს გროსმაისტერ პ. კერესს.

შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გულთბილად მიესალმა პოლონეთის რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე იუზეფ ფარუგა, რომელიც სტუმრად არის მოსკოვში. პოლონელ სპორტსმენთა სახელით მან საჩუქრები გადასცა პ. კერესს, ე. გელერსა და ტ. პეტროსიანს.

ჩემპიონატის მონაწილეთა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ჩემპიონმა გროსმაისტერმა პ. კერესმა. (საკდესი).

სამგორის მიწაზე დასახლდა პირველი სოფელი

შაბათი, 15 დეკემბერი

ეს დღე, ეს რიცხვი ღირსსახსოვარ თარიღად დარჩება სამგორის უხვმოსავლიანი მიწების ათვისების ისტორიაში, იმათ მეხსიერებაში, ვისაც ამ დღეს პირველად დასახლდა სამგორის მიწაზე, ვისაც წილად ხვდა სამგორის პირველი მკვიდრის სახელის ტარება.

1951 წლის 4 ნოემბერს სამგორში პირველად მოვიდა წყალი და ხალხმა რესპუბლიკის ამ სიამაყეს — სამგორის სარწყავ სისტემას კაცობრიობის ბრძენი ბელადის — დიდი სტალინის სახელი მიაკუთვნა; თვენახევარზე ნაკლები ხნის შემდეგ კი სამგორში მოვიდნენ პირველი მოსახლენი, პირველად გაჩაღდა ცეცხლი პირველ სამგორელ კოლმეურნეთა კერაზე და ბუხრებიდან ნადენმა კვამლმა ქვეყანას ამცნო საქართველოს ერთ-ერთი მთიანი სოფლიდან სამგორში ჩამოსახლებულთა ახალი ცხოვრების დასაწყისი.

საგარეჯოს მთელ რაიონს მოეფინა ორჯონიკიძის რაიონის მთის სოფლიდან — გეთსამანიიდან სამგორში დასასახლებლად უკლებლივ ყველა კოლმეურნის წამოსვლის ამბავი. 15 დეკემბერს დილიდანვე ბალბიანის მიდამოები, სადაც გადმოსახლებულთა ეშელონი უნდა ჩამომდგარიყო, აივსო ახლომახლო სოფლებიდან მოსული კოლმეურნეებით. კოლმეურნეობებმა ავტომანქანები, ურმები, მათს განკარგულებაში არსებული ყველა სატრანსპორტო საშუალება დაახვედრეს ჩამოსულებს, რათა მატარებლიდან ახლად გაშენებულ სოფლებში ბარგისა და ქონების გადატანაში დახმარებოდნენ მათ. სართიჭალის ჩირკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ ჩამოსულთათვის აგებულ სახლებთან თითო კუბმეტრი შეშა მიიტანა და ჩამოარიგა — ზამთარია, ვინ იცის, თოვლი დადოს, ჩამოსულებს უშეშობით არ გაუჭირდეთო.

დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას — ყველას თავი მოეყარა ბალბიანში. აქვე იყვნენ პარტიის საგარეჯოს რაიონული კომიტეტის მდივანი შ. ნუცუბიძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. დავითაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დასახლების სამმართველოს წარმომადგენლები ვ. ჯანელიძე, ა. ტაკიძე, ნ. ლოხიშვილი და ახალი სოფლის მშენებლები—მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები.



პირველი სოფელი სამგორის ველზე. სურათზე: ახალი სახლების ერთი წყება, სადაც 15 დეკემბერს მოხდა ორჯონიკიძის რაიონიდან ჩამოსულთა ჩასახლება.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

★

გამოჩნდა მატარებელი. ტაშითა და მისალმებათა შეძახილებით შეხვდნენ საგარეჯოს რაიონის მშრომელები ახალ მეზობლებს. მიესალმებოდნენ დამხვდურები მოსულებს, როგორც უახლოეს მოყვრებს, ძმებს, დებს, მშობლიური მზრუნველობით აცილებდნენ თვითეულს ახალი სოფლისაკენ მათთვის მიჩენილ ახალ სახლებში და ასეთივე სიყვარულის, გულითადი მადლობის სიტყვები ესმოდათ მათ ჩამოსულთაგან.

თითქმის მთელ დღეს გასტანა ვაგონებიდან ახალ სოფლამდე, გადაბარგებამ. საღამოს ამ სოფელში პირველად აინთო შუქი, საკუთარ მკვიდრთა ჟრიამული პირველად განიცადა სამგორის მიწამ.

ახალი სოფლის მშენებლები

სამგორდასახლებამშენის კოლექტივმა პირველი გამარჯვება მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი წელს გვიან შეუდგა ამ სოფლის გაშენებას, პირველი რიგის ამოცანა მაინც პირნათლად გაანაღდა, მომავალ სამგორელ მკვიდრთათვის შესანიშნავი საცხოვრებელი სახლები ააგო.

მშვენიერი სოფელია, ახლებური. მდებარეობაც საუკეთესო, ჰავაც ჯანსაღი, წყალიც კარგი. 500-ზე მეტი კაპიტალურად ნაგები ქვიტკირისა და აგურის სახლია ამ სოფელში და მთელი ეს საგრძნობლად მოზრდილი ქალაქისოდენა სოფელი სამგორდასახლებამშენის კოლექტივმა წელს 9-10 თვეში გააშენა.

მშენებელთა კოლექტივის ხელმძღვანელები არიან: უფროსი—ინჟინერი ივანე გოგუაძე, მთავარი ინჟინერი ვანო კუხალაშვილი, სამშენებლო უბნების უფროსები ინჟინრები — აკაკი ღალონიძე, პროკოფი შენგელია, აკაკი გოგელია და აკაკი პაპუაშვილი.

მრავალი სახელოვანი სტახანოველის სახელი ამშვენებს ამ კოლექტივს. დაე იცოდეს მთელმა რესპუბლიკამ, რომ სამგორში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში განსაკუთრებით გაითქვეს სახელი ფიდო სახლთხუციშვილმა, მაქრო ლეკიშვილმა, იოსებ კანდელაკმა, ამროსი გაჩეჩილაძემ, დიმიტრი მაკანტალაშვილმა. ოთარ გენგაშვილმა, ანდრია ლიტვინოვმა, ხარიტონ ვოლოკიტინმა, ქიტესა ჯიქიძემ, ვლადიმერ არუთინოვმა, ალექსი შავიძემ და მრავალმა სხვამ.

სამგორში დასასახლებლად ჩამოსულნი აღტაცებული არიან თავიანთი ახალი სახლებით. ეს ნიშნავს, რომ მშენებლებმა საუცხოოდ იმუშავეს.

ჩამოსულები

სინო ჩადუნელს, ღრმა მოხუცს, ახლაც არა სჯერა, რომ ეს დიდი, კარგი ქვიტკირის სახლი, თავისი საიზარეულოთი, ორი აივნით, სასტუმრო, საძინებელი, სასადილო ოთახებით, სარდაფით და ყოველივე იმით, რაც კულტურული, საამური ცხოვრებისთვის არის საჭირო, მისი ჯალაბობისათვის, მისთვის, მისი შვილებისა და შვილიშვილებისათვის არის აგებული.

— აქ იცხოვრებთ, პაპა სინო, ეს თქვენი საკარმიდამო ნაკვეთი იქნება, ხედავთ, აქედან რა კარგი გადასახედია!

სინო აღფრთოვანებულია, თვალნათლივ რწმუნდება, რომ ქვეყანაში, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია მართავს, რომელსაც დიდი სტალინი მესაჭეობს, სიცოცხლე და ცხოვრება მართლაც ბედნიერებაა. ბატონყმობის გადავარდნის პირველი პერიოდი კარგად ახსოვს სინოს, ახსოვს მიწისათვის გლეხების ბრძოლის ხანგრძლივი დრო. ძმა ძმას სასიკვდილოდ გაიმეტებდა ბარისპირისოდენა მიწისათვის. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მიწა საზოგადო კუთვნილება გახდა, შემდეგ კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა მათს სოფელში, ცხოვრება დიდად გაუმჯობესდა. ჩადუნელების ოჯახს 11 ვაჟკაცი ალუზარდეს სინოს შვილებმა, გაქრა სიღატაკე. მაგრამ დაუდეგარია ეს ახალთაობა.—კიდევ უკეთესად უნდა ვიცხოვროთ, სამგორში უნდა გადავსახლდეთ,—გადაწყვიტეს, მთელი სოფელი აიყოლიეს, მთელი სოფელი წამოვიდა აქ სამგორის მიწის გასაცოცხლებლად.

სინო იცნობს დომენტი პაქსაშვილის ობლებს 15 წლის რუბენ პაქსაშვილს და მის დას. ისინიც კი წამოვიდნენ. სოფელი იქაც ეხმარებოდა მათ, სწავლის საშუალებას აძლევდა. ახლა აქ წამოიყვანეს, მშვენიერ სახლში შეასახლეს. ისწავლიან ბავშვები, წამოიზრდებიან და სამშობლოს ამაგს ამაგით გადაუხდიან.

ნადო ოქიტიძე გეთსამანიაში რვაწლიანი სკოლის დირექტორი იყო. მას სპეციალური ვაგონი მისცეს სასკოლო ნივთების წამოსაღებად და ახლა ისიც ახალ სოფელშია, ერთობ ჩქარობს შევიდეს ახალ სასკოლო შენობაში, სასკოლო ზარი ბოძზე დაამაგრებინოს და ჩამოსულებს მისი წკარუნით აცნობოს: გაკვეთილი იწყება!

ახალი ცხოვრება დაიწყეს გეთსამანიელებმა ახალ მიწაზე.

დ. ამირანიძე

პარტიული ცხოვრება

მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას სათანადო ყურადღება არ ექცევა

სტალინირის რაიონის სოფელ ქსუისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა სისტემატურად ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში, ვერ ანაღდებს გეგმებს.

კოლმეურნეობის ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად იმითაც არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეთა შორის არ დგას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ, მისმა მდივანმა ამხ. გიგოლაევმა დაივიწყეს პარტიული მუშაობის ეს პასუხსაგები უბანი.

კოლმეურნეობაში 11 საწარმოო ბრიგადაა. არც ერთ ბრიგადაში აგიტაცია დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი. ავიღოთ მეხუთე ბრიგადა. ამ ბრიგადის აგიტატორობა დავალებული აქვს კომუნისტ ს. ძუგაევს. იგი საშუალო განათლებითაა. თუ პასუხისმგებლობით იმუშავებს, მას შეუძლია დიდად შეუწყოს ხელი ბრიგადის სამეურნეო წარმატებას. მაგრამ ამ პასუხისმგებლობას იგი არ გრძნობს, ხოლო პარტორგანიზაცია არ სთხოვს აგიტატორს სერიოზულად მოეკიდოს პარტიულ დავალებას.

— ორი კვირაა მეც არ წამიკითხავს გაზეთი, — აღიარა მან და თან დასძინა, — ძალიან დატვირთული ვარ (კოლმეურნეობის მოანგარიშეა) და ვეღარ ვიცლი საკუთარ თავზე მუშაობისათვის.

ეს მართალი არ არის. აღმოჩნდა, რომ იგი ხშირად ტყუილუბრალოდ აცდენს დროს.

მეხუთე ბრიგადა სერიოზულ დახმარებას მოითხოვს. ბრიგადაში განსაკუთრებით დაბალია შრომის დისციპლინა. შრომისუნარიანი კოლმეურნეები ბაბუცა ლოლაევა, ანტონ ბიბილოვი, თამარ ლოლაევა და სხვები თავს არიდებენ საერთო საქმეს, არ ასრულებენ კოლმეურნეობის გამგეობის დავალებას. მათი ქცევით უკმაყოფილოა აგიტატორი ძუგაევიც, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ჩამორჩენილებთან საუბრის დროს გაეკიცხოს ისინი, ვინც საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესებს პატივს არ სცემს.

ასეთივე ნაკლოვანებები ახასიათებს სხვა საწარმოო ბრიგადების აგიტატორთა მუშაობასაც.

მესამე საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. ვალიევმა გვითხრა: ჩვენი ბრიგადის აგიტატორი არის ს. კუსრაევი, მაგრამ მას დიდი ხანია ჩვენთან საუბარი არ ჩაუტარებიაო.

ი. ვალიევი კომუნისტია. მას საკმაო განათლებაც აქვს. მაგრამ პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობაში საერთოდ კომუნისტები ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობენ. ი. ვალიევიც კმაყოფილდება სხვის ნაკლოვანებებზე მითითებით. მან დაივიწყა, რომ როგორც კომუნისტი ვალდებულია თავისი ბრიგადის წევრებში ყოველდღიურად ეწეოდეს საგიტაციო მუშაობას, შრომაში პირად მაგალითთან ერთად ბოლშევიკური სიტყვით რაზმავდეს ბრიგადის წევრებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის.

ასევე იქცევა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგე კომუნისტი ვ. გიგოლაევი. აი რა მდგომარეობაა ფერმაში: მსხვილფეხა პირუტყვი გეგმით გათვალისწინებული 882 სულის ნაცვლად ჰყავთ 845 სული. აკლიათ 19 ძროხა. ძლიერ დაბალია ძროხების წველადობა. ამ მდგომარეობას ისიც იწვევს, რომ მეცხოველეობის განვითარებისათვის ფერმაში ნორმალური პირობები არ არის შექმნილი. წელს უნდა აეშენებინათ ბოსელი 80 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, მაგრამ ეს არ გააკეთეს. კოლმეურნეობას წელს 60 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი დაეხოცა.

ასეთი მდგომარეობა პარტორგანიზაციის, სხვა დანარჩენთან ერთად, იმასაც ავალებდა, რომ მეცხოველეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საწარმოებლად გამოეყო საუკეთესო ძალები, დახმარებოდა აგიტატორებს საგიტაციო მუშაობის საინტერესო ფორმების გამონახვაში, უზრუნველეყო მეცხოველეთა პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლება.

— რა ვქნათ, — ამბობს ფერმის გამგე, — ფერმა სოფლიდან დაშორებით, მთაში გვაქვს მოწყობილი. იქ აგიტატორი ვერ წავა ყოველდღიურად.

კომუნისტს ვ. გიგოლაევს წარმოუდგენია, რომ მეცხოველეებთან საგიტაციო მუშაობა მას სრულიად არ ეხება.

ქსუისში ათობით მასწავლებელი მუშაობს. ინტელიგენციის ძალების სწორად გამოყენებით შესაძლებელი იყო საგიტაციო მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება. მაგრამ კარგა ხანია სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები არ შეკრებილან აგიტკოლექტივის მეცადინეობაზე.

— ამას წინათ რაიკომში მითხრეს, — თქვა მასწავლებელმა ა. ელუაშვილმა, — კოლმეურნეობის მემინდვრეობის პირველ ბრიგადაში ჩამეტარებინა საგიტაციო საუბრები. სასწავლო წლის დაწყების შემდეგ მხოლოდ ერთხელ ვიყავი ბრიგადაში.

ა. ელუაშვილი არც კი ცდილობს შეისწავლოს ბრიგადის ცხოვრება. ბრიგადაში არის ზოგიერთი ზარმაცი კოლმეურნე. მათ შორის კომკავშირლებსაც ვხვდებით. ბრიგადის წევრები, კომკავშირლები სონია კეზეროვა, ლიდა ალბოროვა და სხვები თავს არიდებენ მინდვრად მუშაობას. 19 კომკავშირელს მესამე პერიოდში გამომუშავებული არა აქვს შრომადღეების მინიმუმი. ცუდად მუშაობს საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ს. ჯიკაევიც. იგი მეცხრე ბრიგადას ხელმძღვანელობდა. ბრიგადა სისტემატურად ჩამორჩებოდა, დავალებებს ვერ ასრულებდა. ს. ჯიკაევი ბრიგადირობიდან გაათავისუფლეს. ამან გააჯავრა კომკავშირის კომიტეტის მდივანი და ახლა კოლმეურნეობაში ფიზიკურ მუშაობას თავს არიდებს. პარტორგანიზაცია კი ს. ჯიკაევს არ მოუწოდებს წესრიგისაკენ.

სოფლის მასწავლებლები ეთერ თიბილაშვილი, თამარ დუდაევა, ვ. კაბულოვი ერთ დროს კოლმეურნეთა შორის ნაყოფიერ საგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ. ამ ძალებს პარტიული ორგანიზაცია ახლა სრულიად არ იყენებს.

სოფელ ქსუისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა გამონაკლისი როდია. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სუსტად არის დაყენებული სტალინირის რაიონის მთელ რიგ სოფლებში. ასეა სოფელ ვანათის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობაშიც. აქ მეორე საწარმოო ბრიგადის აგიტატორად მასწავლებელი მარო პაპიტაშვილია გამოყოფილი. მაგრამ იგი უკანასკნელი თვეების განმავლობაში აღარ მისულა ბრიგადაში, არ ჩაუტარებია საუბარი.

საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია თავის რიგებში 15-მდე კომუნისტს აერთიანებს. პარტორგანიზაცია თავს არიდებს თავის პირდაპირ მოვალეობას, ძლიერ სუსტია პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეობაში, კომუნისტებს შორის. ცალკეული კომუნისტები შრომაშიც ვერ გვიჩვენებენ კარგ მაგალითს. მაგალითად, კომუნისტ ნუცა პაპუაშვილს წელს არცერთი შრომადღე არა აქვს გამომუშავებული.

პარტორგანიზაცია არ იბრძვის საკოლმეურნეო წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის. კოლმეურნეობაში ოთხი საწარმოო ბრიგადაა. ამ ბრიგადების ხელმძღვანელთა შორის არცერთი არ არის საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი. კომუნისტები არ მუშაობენ მეცხოველეობის ფერმებშიც. ამიტომ არის, რომ ამ უბანზე ნაკლებად იგრძნობა პარტიული გავლენა.

კოლმეურნეობის პირველმა საწარმოო ბრიგადამ ამ სოფლის ცხოვრებაში უჩვეულო წარმატება მოიპოვა: თითოეულ ჰექტარზე წელს 15 ცენტნერი ხორბლეული მოიყვანა. ამ ფაქტისათვის კოლმეურნეობის აგიტატორებს ყურადღებაც არ მიუქცევიათ, არ მოუწყვიათ პურეულის უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების პოპულარიზაცია.

მასებში პოლიტიკური მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის უნდა ზრუნავდეს ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაცია. მაგრამ ასე როდი იქცევა ვანათის სასოფლო საბჭოს ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივანი ტ. ძებისაშვილი. პარტიული კრებების ოქმების მიხედვით პარტორგანიზაცია სისტემატურად უთმობს ყურადღებას საგიტაციო მუშაობის საკითხებს, კრებაზე ხშირად მსჯელობენ მასებში პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებაზე. მაგრამ, როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, საკითხების განხილვა მხოლოდ ფორმალურად ხდება.

ოქტომბერში პარტიულმა კრებამ განიხილა აგიტატორების — ი. გოჩაშვილის, ქ. კაბულოვის, ს. მინდიაშვილის მუშაობის საკითხი, მაგრამ დადგენილება, რომელიც პარტიულმა კრებამ ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მიიღო, ბევრს ვერაფერს ასწავლის აგიტატორებს.

ვანათის სასოფლო საბჭოში ექვსი კოლმეურნეობაა. აქედან ოთხ კოლმეურნეობაში წელს სრულიად არ უჩვენებიათ კინოსურათი. ამ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს ტერიტორიული პარტორგანიზაცია. სასოფლო საბჭოს ცენტრში მოწყობილი არ არის გაზეთის ვიტრინა. ამ საქმის მოგვარება ძნელი როდია, ნაყოფი კი ძალიან სასარგებლო იქნებოდა.

სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას ყურადღება უნდა მიაქციოს პარტიის სტალინირის რაიკომმა. მან ყოველდღიურად უნდა უხელმძღვანელოს მშრომელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას და ამით კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი კავშირი მასებთან.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

საკავშირო კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის პლენუმი

შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის პლენუმი. რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ძებისაშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ელიაწმინდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ი. კაპანაძემ, კლდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა შ. მაჩაიძემ, მტს-ის დირექტორის მოადგილემ პოლიტნაწილში ე. სამუელიანმა, ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. კაკაჩიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. გაჩეჩილაძემ, ურავლის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. კაპანაძემ და სხვებმა.

პლენუმმა ამხ. ი. ძებისაშვილი მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო გაათავისუფლა საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. პ. ცაგარეიშვილი.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

ქობულეთი. (საკ. კორ.). ამ დღეებში სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულთ ორდენები და მედლები გადასცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. დ. დავითაძემ.

ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო" სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების სიგელთან ერთად მიიღო 14 კაცმა, მათ შორის: სტალინის სახელობის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის უფროსმა აგრონომმა შ. გრძელიძემ, ამავე მეურნეობის სტახანოველმა მუშამ ზ. გორკინამ, მეურნეობის დირექტორმა ი. ფუტურიძემ, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. წულუკიძემ, ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ა. სიმეულიდიმ, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომმა ვ. გათენაძემ და სხვ.

ლენინის მეორე ორდენი გადაეცა სტალინის სახელობის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშებს ქ. სობოლევს და ნ. სტოიაკინას, კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ქ. ქათამაძეს და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ა. გოგიტიძეს.

ლენინის ორდენი მიიღო 38 კაცმა. შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა 68 კაცს, მედალი „შრომითი მამაცობისათვის" — 55-ს, ხოლო მედალი „შრომითი წარჩინებისათვის"—5 კაცს.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ქ. სობოლევმა, ნ. ჩხარტიშვილმა და სხვ. მათ უღრმესი მადლობა გადაუხადეს ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას და პირადად დიდ სტალინს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და პირობა დადეს უფრო უკეთესად იმუშაონ.

დაჯილდოებულთ მაღალი ჯილდოები მიულოცა და მუშაობაში შემდგომი წარმატებები უსურვა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. დ. დავითაძემ.

სახალხო მოსამართლის კანდიდატები

ტარასი ბუბაშვილი

ტარასი სევერიანეს-ძე ბუბაშვილი 1940 წლის დამლევიდან მუშაობს ტყიბულის რაიონის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლის თანამდებობაზე. მოსამართლე ყოველთვის ღრმად სწვდება საქმეში, ერკვევა მის არსში, რათა ისე გადაჭრას იგი, როგორც ამას საბჭოთა კანონი მოითხოვს.

ტ. ბუბაშვილს კარგად აქვს შეგნებული, რომ სახელმწიფო ინტერესების სწორად დაცვას მოსამართლე მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ იგი სისტემატურად იმაღლებს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს.

— სასამართლო მუშაკი, — ამბობს იგი, — ყოველმხრივ განათლებული ადამიანი უნდა იყოს.

ამიტომ არის, რომ ამხ. ბუბაშვილი სამუშაოსაგან მთელ თავისუფალ დროს თავისი ცოდნის დონის ამაღლებას ანდომებს. შარშან დაამთავრა ორწლიანი საღამოს პარტიული სკოლა, ხოლო წელს — მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის დაუსწრებელი ფილიალი.

სახალხო მოსამართლის ღირსეული კანდიდატი თავის ძალას ხალხთან მჭიდრო კავშირში ხედავს. იგი ფართო მასობრივ ახსნა-განმარტებითი მუშაობას ეწევა, რეგულარულად გამოდის მოსახლეობაში ლექციებითა და მოხსენებებით თავისი მუშაობის შესახებ.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა სახალხო მოსამართლის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენა ამხ. ტ. ბუბაშვილი.

სტალინის სახელობის შახტის სტახანოველი მეშახტეები: **ს. ლაფერაძე, ი. სოფრომაძე, პ. გვეტაძე,** მოწინავე უბნის უფროსი, ორგზის ორდენოსანი **პ. ნანიკაშვილი,** წარჩინებული ენგრეველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **შ. ფურცხვანიძე.**

თინა ხვედელიძე

ბათუმის მშრომელებში ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს ქალაქის მე-4 უბნის სახალხო მოსამართლე ამხ. თინა სილოვანის ასული ხვედელიძე. იგი 1947 წლიდან დაუღალავად მუშაობს ამ პასუხსაგებ თანამდებობაზე და თავის ყოველდღიურ მუშაობაში დიდ გულისხმიერებასა და საქმის ცოდნას იჩენს. სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი კვლავ დაასახელეს სახალხო მოსამართლის კანდიდატად ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, „ქალაქმშენის" ტრესტის და ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა.

სამსახურებრივ მოვალეობას მოწინავე სახალხო მოსამართლე კარგად ათავსებს პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებასთან. იგი უკვე რამდენიმე თვეა, რაც აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოვალეობას ასრულებს.

1950 წელს ამხ. ხვედელიძემ წარმატებით დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის ბათუმის საღამოს უნივერსიტეტი, ხოლო ამჟამად დამოუკიდებლად მუშაობს მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად დაუფლებისათვის.

როგორც სახალხო მოსამართლემ და ხალხის რჩეულმა, ამხ. ხვედელიძემ გაამართლა მშრომელთა ნდობა. მოსახლეობაში მისი ავტორიტეტი იმის საწინდარია, რომ № 4 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები 23 დეკემბერს ერთსულოვნად გამოცხადდებიან საარჩევნო ყუთთან და ხმას მისცემენ სახალხო მოსამართლის ამ ღირსეულ კანდიდატს.

დ. პაიჭაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

იპოლიტე გვათუა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1936 წელს ამხ. ი. გვათუა იგზავნება დუშეთის რაიონში სახალხო გამომძიებლის თანამდებობაზე. ახალგაზრდა ნიჭიერი იურისტი შემდეგ ამავე რაიონის ფასანაურის უბნის სახალხო მოსამართლეა. 1949 წლის თებერვალში ამხ. ი. გვათუა აირჩიეს ქალაქ თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო მოსამართლედ.

ამხ. გვათუა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით უდგება თითოეული საქმის განხილვას, იგი ფხიზლად დგას სოციალისტური მართლმსაჯულების სადარაჯოზე.

ამხ. გვათუა დაუღალავად მუშაობს თავისი პოლიტიკურ-იდეური დონის ამაღლებისათვის, სისტემატურად ესაუბრება ამომრჩევლებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ამხ. გვათუას კარგი მუშაობა არაერთხელ ყოფილა აღნიშნული სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროების ბრძანებებით.

წინასაარჩევნო კრებებზე ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშისა და დარჩელის მშრომელებმა ამხ. ი. გვათუა ერთსულოვნად დაასახელეს სახალხო მოსამართლის კანდიდატად. იგი რეგისტრირებულია ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოების არჩევნების № 2 საარჩევნო ოლქში.

არჩევნების დღეს — 23 დეკემბერს მშრომლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას ღირსეულ კანდიდატს.

ა. გამყრელიძე

ტრამვაის 28 მატარებელი გეგმის გადამეტებით

ამჟამად დედაქალაქში ტრამვაის ხაზებზე გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად გამოდის ტრამვაის მატარებლის 28 შემადგენლობა. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ხელმძღვანელები ამუშავებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო გაადიდონ ტრამვაის მატარებელთა რაოდენობა ქალაქში და გააუმჯობესონ მგზავრების მომსახურება. ამ მიზნით მომავალი წლისათვის გადაწყვეტილია ახალი ტიპის ვაგონებით შემდგარი 5 შემადგენლობის შეძენა და ამდენივე ძველი ვაგონის აღდგენა.

მომავალ წელს სატროლეიბუსო პარკს შეემატება 8 ახალი ტროლეიბუსი.

მუსიკალური ხელოვნების ახალი წარმატებებისათვის

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მუსიკალური კულტურის ნამდვილი აყვავების ყველა პირობა. კომპოზიტორთა შემოქმედება გარემოსილია პარტიისა და მთავრობის ზრუნვითა და ყურადღებით, რომლებიც ბრძნულად წარმართავენ მუსიკის განვითარებას. საბჭოთა ხალხს უყვარს მუსიკა, დიდად აფასებს ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც გვიხატავენ ჩვენი სამშობლოს ცხოვრებას, საბჭოთა ადამიანებს, ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც გამოირჩევიან მელოდიების სიმდიდრით, ნათელი და გასაგები მხატვრული ფორმით.

ცნობილ დადგენილებაში ოპერა „დიადი მეგობრობის" შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სასტიკად დაგმო საბჭოთა მუსიკაში მანკიერი, ფორმალისტური მიმართულება, როგორც ანტიხალხური და ისეთი, რომელიც სინამდვილეში იწვევს მუსიკის ლიკვიდაციას. ცენტრალურმა კომიტეტმა საბჭოთა კომპოზიტორებს მოუწოდა უკუაგდონ თავიანთი გზიდან ყოველივე, რაც ჩვენს მუსიკას ასუსტებს, და წინ წასწიონ საბჭოთა მუსიკალური კულტურა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ განვლილი წლები მუსიკალური შემოქმედების აღმავლობით აღინიშნა. საბჭოთა კომპოზიტორებმა—ჩვენი დიადი სამშობლოს ბევრი ძმური ხალხის წარმომადგენლებმა — შექმნეს თანამედროვეობის მთავარი თემებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი დიდი ნაწარმოებნი. გამოცოცხლდა მუსიკალური ცხოვრება რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში. დაწინაურდა დიდი ჯგუფი ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორებისა, ვისი ნაწარმოებნიც ფართოდ არის აღიარებული.

საბჭოთა მუსიკაში რეალისტური მიმართულების გამარჯვებისათვის, საბჭოთა ხალხის შესაფერის ნაწარმოებთა შექმნისათვის ბრძოლის ნიშნით ვითარდება მუსიკის მოღვაწეთა შემოქმედება. ამას კერძოდ, მოწმობს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გამგეობის მეხუთე პლენუმი, რომელიც ახლა მოსკოვში მიმდინარეობს. დაახლოებით ორი კვირაა გრძელდება მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების კომპოზიტორების ახალ ნაწარმოებთა მოსმენა და განხილვა. პლენუმმა ცხადყო მუსიკალური შემოქმედების დიდი გაქანება, ხელი შეუწყო წარმატებათა და ნაკლოვანებათა გამოვლინებას.

საბჭოთა კომპოზიტორების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა თანამედროვე თემებზე სრულფასოვანი ოპერების შექმნა. მუსიკალური შემოქმედების ამ გადამწყვეტ უბანზე ჯერ ცოტაა გაკეთებული. ჯერ კიდევ კომპოზიტორთა მთელი საუკეთესო ძალები არ ჩაბმულან მუშაობაში საბჭოთა ოპერის შესაქმნელად. ამ უკანასკნელ დროს დაწერილ ზოგიერთ ოპერას დიდი ნაკლოვანებანი ახასიათებს. საბჭოთა საზოგადოებრიობის მიერ გ. ჟუკოვსკის ოპერის „მთელი გულით" და კ. დანკევიჩის ოპერა „ბოგდან ხმელნიცკის" კრიტიკამ ცხადყო, რომ კომპოზიტორებს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ ყველა დასკვნა პარტიის მითითებებიდან და ჯერ კიდევ არ დაუწერიათ ისეთი საოპერო ნაწარმოებნი, რომლებიც წაყენებული მოთხოვნების დონეზე იდგეს.

კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პლენუმზე საოპერო შემოქმედების საკითხების განხილვისას აღინიშნა, რომ მთელ რიგ საოპერო ნაწარმოებთა ავტორები შეუდგნენ ოპერის — მუსიკალური შემოქმედების ამ ყველაზე რთული და ძნელი ჟანრის—შექმნას ისე, რომ საკმაოდ არ იცნობენ ცხოვრებას, ჯეროვნად არ დაუფლებიან პროფესიულ ოსტატობას, არ ითვისებენ და ღრმად არ შეისწავლიან დიდ რუს კომპოზიტორთა უმდიდრესი გამოცდილება. აგრეთვე სამართლიანად აღინიშნა, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია ოპერების ლიბრეტოებზე მუშაობაში. ამავე დროს ცნობილია, რომ ოპერის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ლიბრეტოს ხარისხზე. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს კომპოზიტორების შემოქმედებითს თანამეგობრობას ლიბრეტოს ავტორებთან, ოპერების შექმნაში საუკეთესო კომპოზიტორებთან ერთად ჩვენი საუკეთესო მწერლების აქტიურ მონაწილეობას.

ბევრი ახალი ოპერის ერთ-ერთი მთავარი ნაკლია დადებითი გმირის — საბჭოთა ადამიანის, კომუნიზმის მშენებლის სუსტი წარმოსახვა. ამ ოპერებში მკრთალია მუსიკალური სახეები, არ არის გაშლილი მელოდიური დახასიათებანი. ჩვენმა კომპოზიტორებმა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გვაჩვენეს საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს მთელი სიმდიდრე და სილამაზე, ვერ შექმნეს ხალხის საყვარელი სახეები ჩვენი დროის გმირებისა.

კომპოზიტორთა კავშირი, ხელოვნების საქმეთა კომიტეტი მოვალენი არიან თავიანთი ყურადღების ცენტრში დააყენონ ისეთი საბჭოთა ოპერის შექმნის ამოცანა, რომელიც შეესაბამება ხალხის გაზრდილ ესთეტიკურ გემოვნებას და მხატვრულ მოთხოვნებს. საბჭოთა კომპოზიტორების მიერ დაწერილი ამ ჟანრის კარგი ნაწარმოებნი მოწმობენ, რომ ასეთი ამოცანა სავსებით რეალური და განსახორციელებელია. თავის დროზე აღინიშნა, მაგალითად, ი. ძერჟინსკის ოპერა „წყნარი დონის" დასაფასებელი დადებითი თვისებები. ამ ბოლო დროს უეჭველ წარმატებებს მიაღწიეს დ. კაბალევსკიმ ოპერაში „ტარასის ოჯახი" და ი. მეიტუსმა ოპერაში „ახალგაზრდა გვარდია". ამ ოპერებში არის დრამატული მოქმედებით აღსავსე სცენები, რომლებიც სიმართლით გადმოგვცემენ საბჭოთა პატრიოტების ბრძოლის პათოსს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ოპერებშიც ჯერ კიდევ ცოტაა ფართოდ განვითარებული, მელოდიური არიები, რომლებიც გამოხატავენ გმირთა ხასიათს, საკმაოდ არ არის გამოყენებული უმდიდრესი საოპერო ჟანრის ყველა შესაძლებლობა.

მუსიკალური შემოქმედება განუყრელად უნდა იყოს დაკავშირებული ჩვენი ხალხის ცხოვრებასთან, ერთგულად ემსახურებოდეს საბჭოთა სამშობლოს ინტერესებს. აი რატომ არის, რომ პლენუმის მონაწილეთა მოხსენებებსა და გამოსვლებში საოპერო, სიმფონიური, კამერული, სასიმღერო, საგუნდო ნაწარმოებების შეფასებისას მთავარ კრიტერიუმად წამოყენებულია ის, თუ როგორ არის ასახული ამ ნაწარმოებებში საბჭოთა ხალხის ცხოვრება, საბჭოთა ადამიანების შრომითი საგმირო საქმეები, შეუძლია თუ არა მხატვარს გამონახოს ნათელი, ლამაზი მუსიკალური ფორმა თანამედროვეობის ცოცხალი სახეების დახატვისათვის.

სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის ახალ ნაწარმოებთა შორის პლენუმზე აღინიშნა ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორების, აგრეთვე მუსიკოსთა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლების ნაწარმოებნი.

ახალ ნაწარმოებთა მოსმენის დღეებში პროფესიონალ კომპოზიტორთა თხზულებებთან ერთად შესრულებულ იქნა თანამედროვე ხალხური სიმღერები, რომლებიც შექმნეს მუშათა და კოლმეურნეთა თვითმოქმედების მონაწილეებმა. ამ სიმღერებს, რომლებიც გვხიბლავენ თავისი მელოდიურობით, მათში გამოთქმული გრძნობების უშუალობითა და გულწრფელობით, მსმენელები მუდამ გულთბილად ეგებებოდნენ. ჩვენი პროფესიონალი კომპოზიტორების სასიმღერო შემოქმედებაში გარკვეული წარმატებებია. ამ უკანასკნელ დროს შეიქმნა კარგი სიმღერები ხალხთა ბრძოლაზე მშვიდობისათვის, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, საბჭოთა პატრიოტების შრომით გმირობაზე. ამასთან ერთად ახალ სიმღერებში ვხვდებით სუსტ სიმღერებს, რომლებიც უცხოა საბჭოთა ადამიანების სიხარულის გრძნობებისათვის და რომლებსაც ახასიათებს ტრაფარეტული მუსიკალური ფორმები.

ზოგიერთი კომპოზიტორის შემოქმედებაში ჯერ კიდევ ბოლომდე დაძლეული არ არის ფორმალიზმისა და ნატურალიზმის გავლენა. მაგალითად, ამას მოწმობს კომპოზიტორ ბ. ლიატოშინსკის № 3 მანკიერი ფორმალისტური სიმფონია, აგრეთვე გ. პოპოვის სიმებიანი კვარტეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავაც საჭიროა ბრძოლა ფორმალიზმის ყველა და ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. საჭიროა საბოლოოდ დაიძლიოთ აგრეთვე გაუბრალოების, პრიმიტივიზმის ელემენტები, რომლებიც სრულიად უცხოა საბჭოთა რეალისტური მუსიკალური ხელოვნებისათვის.

საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედების მაღალი იდეურობისათვის, ნამდვილი ოსტატობისათვის ბრძოლა საბჭოთა მუსიკის შემდგომი აღმავლობის საწინდარია. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის მუშაობის დონესა და გაქანებაზე. ამავე დროს კავშირის მხრივ კომპოზიტორთა შემოქმედებითი ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელობა ყოველთვის სწორად როდი აფასებდა ახალ მუსიკალურ ნაწარმოებებს, ზოგჯერ გადაჭარბებით აქებდა სუსტ და მანკიერ თხზულებებსაც კი. მუსიკალური კრიტიკა ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრებას, აქტიურად ვერ ეხმარება მუსიკის მოღვაწეთა შემოქმედებითს ზრდას. კომპოზიტორთა კავშირის და კომპოზიტორთა ბევრი ადგილობრივი კავშირის შემოქმედებითი კომისიებისა და სექციების მუშაობაში ჯეროვნად არ არის გაშლილი პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ჩვენს კომპოზიტორებს აქვთ ყველა შესაძლებლობა, ყველა პირობა გმირი საბჭოთა ხალხის შესაფერისი მუსიკალური ნაწარმოებების შექმნისათვის. მათ რიგებში ნიჭიერი მუსიკალური ახალგაზრდობის შესვლა ნათლად მოწმობს მუსიკალური კულტურის ზრდასა და განვითარებას ყველა ძმურ საბჭოთა რესპუბლიკაში.

საბჭოთა კომპოზიტორების პატრიოტული ვალია გამოიყენონ მთელი უმდიდრესი შესაძლებლობანი და სწორი რეალისტური გზით წარმართონ თავიანთი შემოქმედებითი ღონისძიებანი.

კომუნისტური პარტიის, ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებებით შთაგონებული საბჭოთა კომპოზიტორები შექმნიან მძლავრ მუსიკას, რომელიც სიმართლით ასახავს ჩვენი ეპოქის საქმეების სიდიადეს.

საბჭოთა მუსიკის შემდგომი აყვავებისათვის!

„პრავდის" 17/XII მოწინავე

თ ე ა ტ რ ი

ნ. გოგოლის „რევიზორი“ მარჯანიშვილის თეატრში

ვ. გუნიას და ი. გრიშაშვილის თარგმანი, ალ. თაყაიშვილის დადგმა, მხატვარი ი. შტენბერგი

უკვე სამოცდაათი წელია, რაც ნ. გოგოლის „რევიზორი“ ქართულ სცენაზე იდგმება. ამ გენიალური კომედიის სცენიურ განხორციელებას ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა დიდი მსახიობი ვასო აბაშიძე, რომელიც ჯერ ხლესტაკოვის და შემდეგ გოროდნიჩის როლს ასრულებდა. ამ კომედიაში ბრწყინავდა ნატო გაბუნიას (ანა ანდრეევნა), მარიამ საფაროვა-აბაშიძის (მარია ანტონოვნა), კოტე ყიფიანის (გოროდნიჩი), კოტე მესხის (ოსიპი) ნიჭი და ოსტატობა.

ქართული თეატრის მუშაკები დიდი რეალისტური ცხოველმყოფელობით განასახიერებდნენ თვითმპყრობელობის მამხილებელი რუსული კლასიკური დრამატურგიის შესანიშნავ ნაწარმოებს — ნ. გოგოლის „რევიზორს“. ამ კომედიის ულმობელი სატირა, მამხილებელი ძალა ხელს უწყობდა მშრომელთა მჭიდროდ დარაზმვას ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. დიდი რუსი მწერლის ნაწარმოების ქართულ სცენაზე ქართველი მსახიობების მიერ მაღალმხატვრული განსახიერება გამომხატველი იყო ქართველ და რუს ხალხთა ძმობის განმტკიცებისა, მათი ერთობლივი ბრძოლისა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

თბილისის ქართულ სცენაზე დადგმული „რევიზორის“ შესახებ „კვალი“ აღნიშნავდა: „მსახიობთა მწყობრმა თამაშმა საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ეს წარმოდგენა უნდა ჩაითვალოს ნამდვილი ქართული ხელოვნების გამარჯვებად, რადგან ამ ხელოვნური წარმოდგენით ყოველი შეგნებული მაყურებლის წინაშე გაცოცხლდა სავსებით ის ეპოქა, რომელიც გენიოსს მწერალს ჰქონია თვითონ თავის გონებაში გამოსახული. თვით გოგოლი რომ გაცოცხლებულიყო, ყველა მსახიობს გადაჰკოცნიდა. ჩვენ ბევრჯერ გვინახავს „რევიზორი“ სცენაზე დადგმული, მაგრამ ასე ხელოვნურად ასრულებული არასდეს. ჩვენი ქართული თეატრის სახელი და დიდება ორი კაცია: ვ. აბაშიძე და ლ. ალექსი-მესხიშვილი“ („კვალი“, 1895 წ., № 5).

„რევიზორის“ ქართულ სცენაზე წარმოდგენა ქართველ ხალხში ნერგავდა უღრმეს პატივისცემას რუსი ერისადმი, მისი დიდი კულტურისადმი, თავისუფლებისმოყვარე რუსული მწერლობისა და თეატრისადმი. მუშათა თეატრმა 1909 წელს თავისი სახალხო სახლი გოგოლის „რევიზორით“ გახსნა და ამ კომედიის შემსრულებელ მსახიობთა ახალი თაობა გვიჩვენა: ნიკო გოცირიძე (ოსიპი), კოტე მათიკაშვილი (ხლესტაკოვი), ილია ზურაბიშვილი (გოროდნიჩი), ვ. ნინიძე (ჩინოვნიკი), ლ. ადამიძე (მიშკა), ს. რომანიშვილი (ბობჩინსკი), გ. ჯაბაური (დერჟიმორდა). მსახიობთა უფროსი თაობიდან წარმოდგენაში მონაწილეობდა ელისაბედ ჩერქეზიშვილი (ანა ანდრეევნა).

40 წელზე მეტი ხნის შემდეგ ამავე შენობაში მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ბრწყინვალედ განახორციელა გოგოლის კომედია და ამით ცხადყო, თუ რა დიდად განვითარებია ქართულ საბჭოთა სცენას რევოლუციამდელი ქართული თეატრის რევოლუციურ-დემოკრატიული ხელოვნების ტრადიციები.

რეჟისორ ალექსანდრე თაყაიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი თავისი გააზრებით, განსახიერების მეთოდით, გამოსახვის საშუალებებით უაღრესად თანამედროვეა. ამიტომაც დიდია მისი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მასწავლებელს თუ ლექტორს დიდად გაუადვილდება თვითმპყრობელობის რეჟიმის განმარტება და დახასიათება, რაკი მათი მოსწავლეები თუ მსმენელები ამ სპექტაკლს ნახავენ. ეს სპექტაკლი შთამბეჭდავ სურათად წარმოგვისახავს ბატონყმობის შავბნელ დროს, საფრთხობელა დერჟიმორდების, გაქნილ-გაქლესილი მექრთამე მოხელეების, მძარცველი პოლიციელების თარეშს.

რეჟისორ ალექსანდრე თაყაიშვილს ამ სპექტაკლში, სხვა მრავალ სახიერ სურათებთან ერთად, ერთი ძლიერი მამხილებელი სცენა აქვს წარმოდგენილი. მეოთხე მოქმედების დასაწყისში მეფის მოხელეები ერთად შემოდიან სცენაზე. მოდიან და თითქოს უნასთო მორგვი მოძრაობს, ერთმანეთში არიან გადახლართულნი, ხან ერთი წამოყოფს თავს, ხან მეორე, ხან ერთი წამოისისინებს და ხან მეორე, შემდეგ რომელიმე წინ წამოსავსავდება და უმალ ისევ მორგვში შესრიალდება, — ეს შთამბეჭდავი სახიერებაა ცარიზმის შხამიანი, დამყაყებული ჭაობისა. რეჟისორის მხატვრული გააზრების ნიჭიერებას მოწმობს უსიტყვო სცენა, გოროდნიჩი რომ ხელში გასკვნილი ხელსახოცით დგას და ვერ ამოუხსნია ჩანაფიქრი, თანაც რა აზრიანად და დროულადაა დასმული წერტილი მოქმედებისათვის. სპექტაკლის ყოველი წვრილმანიც კი განათებული და გამსჭვალულია წარმოდგენის იდეური მიზანდასახულობით, ყოველი როლის ყოველი მონაკვეთი გამყოლი მოქმედების ძაფზეა ასხმული და მოქმედთა ურთიერთობა ისეთი დამაჯერებლობით და სიმართლით არის გადმოცემული, რომ სცენაზე ნამდვილ ცხოვრებას ხედავთ. რეჟისორის სწორი მხატვრული ხელმძღვანელობის მაჩვენებელია, რომ მაღალნიჭიერ მსახიობთა დასის შემოქმედებითი ძალა ასე ბრწყინვალედ არის გამოვლენილი. თვით უსიტყვო როლებიც ნიჭიერი შესრულებით დასრულებული მხატვრული სახეების სიმაღლემდეა აყვანილი.

გოროდნიჩის როლის ასეთი სრულყოფილი, მართალი და ბუნებრივი, თავიდან ბოლომდე ნათელი გააზრებით, მაღალმხატვრული შესრულება მთელ საბჭოთა კავშირში სახელს უხვეჭს შალვა ღამბაშიძეს, როგორც რეალისტური სკოლის მოწინავე მსახიობს. შალვა ღამბაშიძე აღწევს ამ სახის განსახიერების იმ მწვერვალს, სადაც მხოლოდ რამდენიმე ოსტატის სახელი კიაფობს. ვინც ერთხელ ნახავს, რა დაავიწყებს შალვა ღამბაშიძის მიერ გამოხატულ გოროდნიჩის ძალმომრეობას, პოლიციური რეჟიმის ძალადობისა და სიმხეცის საოცრად გამომსახველი მუშტის მოღერებას.

შალვა ღამბაშიძის გოროდნიჩი რევიზორად მიჩნეულ ხლესტაკოვს (ვასო გოძიაშვილი) უნდა ეახლოს ტრაქტირში. კარში თავს შემოჰყოფს შიშით ატანილი გოროდნიჩი მლიქვნელური ღიმილით და ხლესტაკოვის ღრიალით ელდანაცემი უმალვე მიიმალება... ხლესტაკოვი ისევ ბაქიბუქობს, კარი ისევ იღება და შიშით გაფუჭებული და დამფრთხალი გოროდნიჩი შემოლასლასდება. ნახავ, და მეხსიერებიდან აღარ ამოიშლება ენაწართმეული გოროდნიჩის ჩიფჩიფი... ან რა მაღალმხატვრული სურათია, როდესაც ღამბაშიძის გოროდნიჩი მთელ გამბედაობას იკრებს და ხლესტაკოვს მორიდებით ფულს შეაჩეჩებს, პირს მოიბრუნებს და სიხარულით ატანილი, რომ საქმე იჩარხება, გაქნილი თითლიბაზი კაცის ღიმილით ამბობს: ბედი მგონი ჩემკენ შემოტრიალდა, ორასის ნაცვლად ოთხასი შევაპარეო. ეპიზოდიდან ეპიზოდში სულ უფრო მეტი და მეტი ბრწყინვალებით ჩანს მსახიობის ოსტატობა. აი ბობჩინსკი (ა. გომელაური) წაქცეულ კარზეა გაშხლართული. გოროდნიჩიმ როგორღაც მოიბოდიშა და ხლესტაკოვი წინ გაატარა თუ არა, ბობჩინსკის კისერში წასწვდა, სამყიანი მუშტით აგრძნობინა მისი ცნობისმოყვარეობის უადგილობა, — გაშმაგდა უხეში, მხეცური ძალა და უცბად შემოტრიალდა, ხლესტაკოვს რომ დაეწიოს. რა საოცარი სახეცვლილებაა! ეს მხეცი პოლიციელი მლიქვნელ, ქლესა ღიმილით დამდნარ კაცად იქცა, — ლაქუცაა, ძაღლივით მაამებელი, ფეხის წვერებზე მაცმუტავი. მსახიობი ამ სახეცვლილებით გადასვლებს ისეთი დამაჯერებელი სიმართლით და გამომსახველობის სიძლიერით ატარებს, რომ მთელი დარბაზის ერთსულოვან ტაშს იმსახურებს.

რომელი სცენა ჩამოვთვალოთ ამ გენიალური კომედიისა, სადაც შალვა ღამბაშიძის მიერ როლის გააზრება და მისი ოსტატური განხორციელება მაყურებელთა დარბაზის აღტაცებას არ იწვევდეს. აი გოროდნიჩიმ მოახერხა ხლესტაკოვის გულის მოგება. გოროდნიჩი დარწმუნებულია, რომ რევიზორს ფრთები შეაჭრა და ახლა ის ხელში ჰყავს. სცენაზე შემოდის გოროდნიჩი პოლიციელების თანხლებით. არა! ეს სცენაზე შემოსვლა კი არა, ტრიუმფალური მარშია! მან გამარჯვების ზეიმით ოთახს ქედმაღლურად შემოუარა, იატაკზე დაგდებული ქაღალდი დაინახა, ძლიერმოსილობის გამომსახველი თითის ჩვენებით ბრძანა უწესობა გააქრონ. და შემდეგ რა ღრმა განცდით და კომიზმის გრძნობით არის გატაცებული გოროდნიჩის ფეხაკრეფით გამოსვლა ოთახიდან, ცოლშვილს რომ აჩუმებს: შშშ! შშ! რევიზორი არ გამიღვიძოთო! დაუვიწყარია სცენა, სადაც აღტაცებული გოროდნიჩი შეძახილით: — აიდა ანტონ! აიდა გოროდნიჩი! — ბუქნით წრეს უვლის. ხუთი მოქმედების მანძილზე საბჭოთა სცენის საამაყო ოსტატმა შალვა ღამბაშიძემ განგვაცდევინა მაღალიდეური და მაღალმხატვრული ხელოვნების ზეიმი.

ამ სპექტაკლში ვასო გოძიაშვილი მაღალნიჭიერად ასრულებს ხლესტაკოვის როლს. ის ქმნის თავისებურ, დასრულებულ, ღრმად შთამბეჭდავ სახეს. ახლაც თვალწინ გვიდგას, შიმშილით შეწუხებული, თავდამცირებით რომ ემუდარება ტრაქტირის მსახურს: მშია, მაჭამე რამეო და შემდეგ, საჭმელს რომ შეექცევა, თან რომ იკრიჭება: ნაჯახის ნაჭერი შეგიწვავთ, თუ ეს რა ჯანდაბაო! შეუდარებლად ატარებს მსახიობი გოროდნიჩისთან შეხვედრის სცენას. ერთიმეორეზე უკეთესად შეასრულა მან სცენები, შეშინებული მოხელეებისაგან და ნომჩივანი ვაჭრებისაგან რომ თავი დაიქრთამა და ასევე იოლად დედა-შვილს ანა ანდრეევნას და მარია ანტონოვნასთან არშიყობაში რომ გაერთო. ვასო გოძიაშვილმა ბრწყინვალედ ჩაატარა ცრუპენტელა ხლესტაკოვის ბაქიაობის ურთულესი სცენა მესამე მოქმედებაში.

ცეცილია წუწუნავა ზომიერების გრძნობით, მართლად და დამაჯერებლად გვიხატავს ხანში შესულ კუდაბზიკა ქალბატონს, სასაცილო დედას და თვალებგამოშტერილ მოარშიყეს ანა ანდრეევნას. მთელ სპექტაკლში სიხალისე შეაქვს მარია ანტონოვნას როლის ნიჭიერი შესრულებით მარინე თბილელს. კარგია ბ. გამრეკელი ლუკა ლუკიჩის მეუღლის როლში.

ალექსანდრე კორკოლიანი სასწავლებელთა მზრუნველის, უსახური ზედამხედველის როლს გარდასახვის სრული ძალით, ტიპიურობის ზედმიწევნილობით და კომიზმის ცხოველმყოფელობით განახორციელებს. ფერების სიუხვით, სრული მამხილებელი ძალით გამოხატა კაკო კვანტალიანმა ზემლიანიკა. გიორგი შავგულიძე რამდენადმე გროტესკული იერით ხატავს „პოჩტმეისტერის“ სასაცილოდ დარდიმანდ სახეს, რომლის პოზიორობა და წაცეკვებით სიარული ზედგამოჭრილია ცნობისმოყვარეობის ურცხვი გრძნობით ატანილი ამ გაიძვერას დასახასიათებლად. ლიაპკინ-ტიაპკინის როლის სწორი გააზრებითა და შესრულებით მოსაწონია ი. ტრიპოლსკი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბობჩინსკის როლში ალ. გომელაური, რომელიც ცხოველმყოფელი, ხალისიანი განსახიერების დიდ უნარს იჩენს და ღრმად სწვდება გოგოლისებური იუმორით გამოხატვის საიდუმლოებას. დამაჯერებელი და დასამახსოვრებელია შ. გოცირელი დობჩინსკის როლში. ა. სიხარულიძემ მაზრის მკურნალის უსიტყვო როლი დასრულებულ მხატვრულ სახედ წარმოგვიდგინა.

ქების ღირსი არიან დ. ოქროსცვარიძე (უბნის ბოქაული უხოვერტოვი), ტ. საყვარელიძე (სვისტუნოვი), ვ. ნინუა (პუგოვიცინი) და ა. ვერულეიშვილი (დერჟიმორდა), რომელთაც სრული მამხილებელი ძალით, ნამდვილი ნიჭიერებით შეძლეს გამოეხატათ ნიკოლოზისდროინდელ უზომო წვრთნით გამოთაყვანებულ პოლიციელთა მხეცური ბუნება. კარგები იყვნენ ეპიზოდურ როლში გ. გოცირელი (ლიულიკოვი), თ. სონღულაშვილი (კორობკინი) და მ. მიმინოშვილი (სტუმარი ქალი).

რეჟისორმა ალ. თაყაიშვილმა ამ სპექტაკლში განსაკუთრებული გააზრებით და სახიერებით გვიჩვენა ჩაგრული სოციალური წრის ადამიანები. ყმა მსახურის ოსიპის დამაჯერებელ სახეს ქმნის მიხეილ სარაული. მისი განსახიერებით ოსიპი თავის ბატონზე უფრო ჭკვიანია, ამასთან მშვიდი, დინჯი და შორსმჭვრეტელია, თავქარიან და ცრუპენტელა ბატონ ხლესტაკოვზე უკეთ ერკვევა შექმნილ ვითარებაში. თანაც ამ ბატონყმურ მონობაში სარაულის ოსიპს შერჩენილი აქვს ადამიანური ღირსება და საკუთარი უპირატესობის შეგნებით ელაპარაკება ბატონსა თუ გოროდნიჩს.

ახალგაზრდა მსახიობი შ. ქოჩორაძე გარდასახვის სრული ძალით, დამახასიათებლობის წვდომით განასახიერებს ტრაქტირის მსახურს. მასაც ადამიანური ღირსებით უჭირავს თავი და თავისი სიტყვა-პასუხის გამოთქმით და ქცევით ჩაგრული სოციალური ფენის ადამიანთა მორალურ უპირატესობაზე მიგვითითებს. ზეინკალის ცოლის პოშლიოპკინას როლს ნიჭიერად ასრულებს ან. მესხიძე. ის ახერხებს გამოხატოს ხალხის მძულვარება და აღშფოთება ცარიზმის მტარვალების წინააღმდეგ. მსახიობ გ. გაგუას გოროდნიჩის მსახური მიშკა ისე აქვს წარმოდგენილი, რომ ყმობაში სამსახურს მასში ვერ ჩაუკლავს სიცოცხლე, სიმკვირცხლე და სიხალისე. კარგია უნტერ-ოფიცრის ცოლის როლში ნ. ქიტიაშვილი.

შალვა ჯაფარიძე კარგად გვიხატავს ვაჭართა ფენის ისეთ წარმომადგენელს, რომელიც ფულის მოხვეჭას კი ახერხებს, მაგრამ ჯერ დიდკაცობა ვერ შეუძენია, ისევ ძველ ტყავშია, ძღვნობასა და ქრთამებში კი ვაჭრული ოინგირით ნაშოვნ ფულს არა ზოგავს.

სპექტაკლი ეპოქის ცოდნით და გამოგონებით, გოგოლის კლასიკური ნაწარმოების დიდი მხატვრული ღირსების შეგნებით არის გაფორმებული მხატვარ ირ. შტენბერგის მიერ.

სპექტაკლი „რევიზორი“ ქართული საბჭოთა ხელოვნების აღმავლობის, ქართული საბჭოთა თეატრის შემოქმედებითი ძალების აყვავების კიდევ ერთი მაჩვენებელია.

დ. ჯანელიძე

„იოლანტა“ თბილისის ოპერის თეატრში

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი შეუდგა მუშაობას დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ჩაიკოვსკის ოპერის „იოლანტას“ დასადგმელად. დადგმა მინდობილი აქვს რეჟისორ მ. კვალიაშვილს, მხატვარია ი. ასკურავა, დირიჟორი შ. აზმაიფარაშვილი.

ოპერაში მთავარ პარტიებს შეასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები — ნ. ხარაძე, ბ. კრაველიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები — ე. ეპიტაშვილი, ა. ჩაქალიძე, ვ. ხომაშურიძე და სხვები.

ოპერა ნაჩვენები იქნება დეკემბრის ბოლოს.

მახინჯაურელ მეციტრუსეთა წარმატება

ბათუმი. (საკ. კორ.). ლიმანტრესტის მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ამხ. დ. ტუღუში) ციტრუსების უხვი მოსავალი მოიყვანა. მახინჯაურელმა მეციტრუსეებმა მოკრიფეს და გადაამუშავეს 5 მილიონზე მეტი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი ანუ 1 მილიონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. განსაკუთრებით დიდი მოსავალი მიიღეს მესამე აგრორაიონის მეციტრუსეებმა (ხელმძღვანელი ამხ. მედეა გურიელიძე). მათ 47.800 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფეს და შემფუთავ ქარხანას ჩააბარეს 65.641 კილოგრამი ცალი ნაყოფი. უხვი მოსავალი აიღეს მეოთხე აგრორაიონშიც (აგრონომი ამხ. ე. ძაძამია): გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 16 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ნაყოფიერად იმუშავა მეურნეობის შემფუთავმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. ა. ახალაძე). მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის მოსავალთან ერთად მან მიიღო და გადაამუშავა 6,5 მილიონამდე ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი კახაბრის, სალიბაურისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებიდან.

ამ დღეებში მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს, რომელმაც გადაჭარბებით განაღდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები, გადაეცა პარტიის ბათუმის რაიკომისა და რაიონული საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა. მეურნეობის კოლექტივმა პირობა დადო უფრო ნაყოფიერად იმუშაოს მომავალ წელს, ერთიორად გაზარდოს ციტრუსოვანთა მოსავლიანობა.

შაქრის ჭარხლის აღება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში აღებულია 4.995 ჰექტარი შაქრის ჭარხლის მოსავალი, გეგმა შესრულებულია 99,9 პროცენტით.

დავალება მთლიანად არ შეუსრულებია კასპის რაიონს. მას აუღებელი აქვს 5 ჰექტარი შაქრის ჭარხალი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„სანიმუშოდ მოვამზადოთ საბინაო მეურნეობა ზამთრისათვის“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 17 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ზამთრისათვის დედაქალაქის საბინაო მეურნეობის მომზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ამხ. შ. ბაქრაძე გვატყობინებს, შემოწმებით წერილში დასახელებული ფაქტები დადასტურდა.

ზამთრისათვის მზადების საკითხი განხილულ იქნა სტალინის, ბერიას და ორჯონიკიძის რაიონული საბჭოების სესიებზე, ლენინისა და მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომების სხდომებზე, რაიონული საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარეებისა და სხვა პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირებზე. აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა საბინაო სამმართველოების, მთავარი ინჟინრების და საღუმელე-სამშენებლო ტრესტის მუშაკთა საქალაქო თათბირი, სადაც განხილულ იქნა კომუნალური საცხოვრებელი სახლების ზამთრისათვის მზადყოფნის საკითხი.

კაპიტალური და მიმდინარე რემონტის სამუშაოთა უხარისხოდ შესრულებისათვის მოხსნილი და პასუხისგებაში მიცემული არიან სამუშაოთა მწარმოებლები სიხარულიძე და ჩუტკერაშვილი (სტალინის რაიონი). სამუშაოდან მოხსნილი არიან ძნელაძე, ბარათაშვილი (ლენინის რაიონი), ნიკოლაიშვილი, არზიანი (ბერიას რაიონი), ლომიძე, სახლმმართველები ლექავა, ჩახბალჩიანი (კიროვის რაიონი).

სახლმმართველებს სოფრომაძეს, თორაძეს, ლობჟანიძეს, ხუტაშვილს (მოლოტოვის რაიონი), ჯოჯუას, ქურხულს (ბერიას რაიონი), ტაიროვას, გელაშვილს, ვაისმანს, აკოფოვს, გოფოძეს (კიროვის რაიონი), ბაშალეიშვილს, მაისურაძეს, სამუშაოთა მწარმოებლებს ჩუბინიძეს, შენგელიას, ბაქრაძეს, ინჟინერ-ინსპექტორებს ფირუმოვს, თოდრიას და ქურდოვანიძეს (ორჯონიკიძის რაიონი) გამოეცხადათ საყვედური. სამუშაოდან განთავისუფლებულია მოლოტოვის რაიონის საბინაო სამმართველოს ინჟინერ-ინსპექტორი წინამძღვრიშვილი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილებანი თბილისის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა და სკოლებისა და საბავშვო ბაღების ზამთრისათვის მზადყოფნის საკითხებზე.

გარდა აღნიშნულისა, ქალაქის საბინაო სამმართველოს მიერ დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

აღრიცხვა მოუგვარებელია, საკოლმეურნეო ქონებას ანიავებენ

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დაცვისადმი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების სუსტი კონტროლის გამო სიღნაღის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ვხვდებით სერიოზულ დარღვევებს. ეს დარღვევები განსაკუთრებით საგრძნობია შრომის ორგანიზაციის, აღრიცხვისა და ანაზღაურების დარგში.

სოფელ ანაგის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში წლების მანძილზე ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. ეს კოლმეურნეობა რაიონის ცენტრიდან არც ისე შორს არის. იქ ხშირად მიდიან ხელმძღვანელი მუშაკები. მაგრამ ისინი საფუძვლიანად არ სწავლობენ კოლმეურნეობის მუშაობას, მის ეკონომიკას. ამ მდგომარეობით სარგებლობენ ბოროტმოქმედნი. ისინი უსირცხვილოდ აფათურებენ ხელს კოლმეურნეობის ქონებაში. მაგალითად, შარშან კოლმეურნეობამ თბილისში გაყიდა ზეთი. აღებული თანხიდან 3.117 მანეთი მიითვისეს გ. მჭედლიშვილმა და ი. ბექანიშვილმა. ამაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. გოგოლაშვილი ამბობს: მართალია ზემოთ დასახელებულ კოლმეურნეებს ეს ფული შემოუხარჯავთ, მაგრამ იშოვნიან და მალე გადაიხდიანო.

თავმჯდომარის ბარათებით სისტემატურად უკანონოდ ხდება პროდუქტებისა და ფულის გაცემა. აი ზოგიერთი ბარათი: „ვლადიმერ, გაეცი ბაირამას ბიჭზე 500 მანეთი“, „გაეცი ცხვრების მეპატრონეს ლაზარიაშვილზე 1.000 მანეთი შესყიდული ცხვრის ანგარიშში“, „გაეცი ალიაშვილზე ყველი, მირინაშვილზე ლობიო“, „ამ ბარათის მომტანს ერგება 800 მანეთი, როგორც წითელარმიელი შეიტანე გოგიას უწყისში და ერთი ორასი მანეთი გაეცი“ და ასე შემდეგ.

საკოლმეურნეო სამჭედლო, როგორც წესი, ემსახურება კოლმეურნეობას. სამჭედლოში მომუშავეებს შრომადღეები უნდა დაერიცხოთ სათანადო ნორმის მიხედვით. მაგრამ აქ ასე არ ხდება. მჭედლებმა შ. ხატიაშვილმა და ა. ალექსანოვმა საკოლმეურნეო სამჭედლო პირადი შემოსავლის წყაროდ გადააქციეს. ისინი კოლმეურნეობის გამგეობას აიძულებენ შესრულებული სამუშაოსათვის ფული მისცეს. კოლმეურნეობის გამგეობა რატომღაც ურიგდება ამ მდგომარეობას.

კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა. არა აქვთ ზოგიერთი სამუშაოს გამომუშავების ნორმები. კოლმეურნეებმა ვ. მეჭურჭლიშვილმა, ლ. მოშიაშვილმა, ვ. მირინაშვილმა, ტ. ხატიაშვილმა, ჰ. ქებაშვილმა, ს. ბენაშვილმა, ი. მჭედლიშვილმა, ა. გოგოლაშვილმა, ნ. მირინაშვილმა და სხვებმა გზების რემონტზე და სასოფლო კლუბის მშენებლობაზე იმუშავეს; პირადი შეხედულებით თითოეულ მათგანს დღეში 2 შრომადღე დაუწერეს. ასეთი შემთხვევა აქ გამონაკლისი როდია. შრომის ანაზღაურების ასეთი უცნაური პრაქტიკა ხელმძღვანელი ორგანოებისათვის რატომღაც შეუმჩნეველი დარჩა.

პარიკმახერები მომსახურებას უწევენ კოლმეურნეთა პირად საჭიროებას და ამის მიხედვით მათს შრომას თვითონ კოლმეურნენი უნდა ანაზღაურებდნენ. აქ კი კოლმეურნეობათა საერთო კრებაზე გამოიტანეს ასეთი დადგენილება: ყოველი 10 კაცის გაპარსვაში პარიკმახერს დაეწეროს 1 შრომადღე. სპეციალური უწყისებიც კი შეადგინეს და საანგარიშო დარგის მუშაკები მნიშვნელოვან დროს ანდომებენ იმას, თუ ვინ გაპარსეს და ვის რამდენი შრომადღე დაუკავონ. ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობაში აღრიცხვა და ანგარიშგება ისედაც არეულ-დარეულია.

კოლმეურნეობაში დაეცა შრომის დისციპლინა, შეუსრულებელია მთელი რიგი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. საშემოდგომო თესვის გეგმის შესრულება ჩაშალეს. ჩამორჩა მზრალად ხვნისა და ნიადაგში სასუქის შეტანის სამუშაოები. მარტო მესამე პერიოდში 568 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან 234 კაცს არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. შეუსრულებელი აქვთ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები. მეფრინველეობის გეგმის შესასრულებლად შრომადღეებზე გასანაწილებელი მარცვლეული გაყიდეს და მიღებული 2.622 მანეთით იყიდეს 134 ქათამი, რომლებიც მოულოდნელობით დაიხოცა.

ყოველივე ეს იწვევს შრომადღეზე გასანაწილებელი პროდუქტებისა და ფულის შემცირებას და, მაშასადამე, საკოლმეურნეო შრომით კოლმეურნეთა დაინტერესების შემცირებასაც. ასე, მაგალითად, აქ თითოეულ შრომადღეზე კოლმეურნეებს წელს ერგებათ მხოლოდ 0,5 კილოგრამამდე მარცვალი, უმნიშვნელო რაოდენობით მიიღებენ აგრეთვე ფულს.

უკეთესი მდგომარეობა არც ამავე სოფლის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობაშია. აქაც არის შრომადღეების გაფლანგვის ფაქტები. მაგალითად, მჭედელ ა. ალექსანოვს ცხენის დაჭედვისათვის ნორმით უნდა დაეწეროს 1,5 შრომადღე; აქ კი 3 შრომადღეს ურიცხავენ. ზოგიერთებს ნორმის დაუდგენლადაც პირადი შეხედულებით უწერენ შრომადღეებს. მაგალითად, კოლმეურნეობის მანქანის მძღოლმა ს. სიყმაშვილმა შეაკეთა მანქანა. ამაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. სიყმაშვილმა აღრიცხველს მისწერა: „დაუწერეთ 14 შრომადღე“. საანგარიშო დარგის მუშაკებმა თავმჯდომარეს არ აწყენინეს და საერთო კრების ნებართვის გარეშე დავალება შეასრულეს. კოლმეურნე ნიკალოზ სიყმაშვილზე საბუღალტრო საბუთების მიხედვით გაცემულია 18 კილოგრამი სიმინდი, ძიებაზე კი ხელმოწერა არ არის. სინამდვილეში მას სიმინდი არ მიუღია.

არც საკოლმეურნეო შენობების აგებაშია ყველაფერი რიგზე. წელს პირუტყვისათვის სადგომს აშენებენ ისე, რომ შედგენილი არც კი აქვთ სათანადო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ამიტომ არ იციან ამ სამუშაოზე რამდენი დაიხარჯება.

შრომის სანარდო ანაზღაურების მაგიერ აქ ხშირად გამოყენებულია დღიური ანაზღაურება. ბრიგადებსა და რგოლებში შესრულებული სამუშაო აღირიცხება არა თითოეული კოლმეურნის მიხედვით, არამედ შეჯამებულად, და თანაბრად იყოფა იმ კოლმეურნეების მთელ რაოდენობაზე, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მუშაობაში. მაგალითად, 13 ივნისს სიმინდის გათოხნაზე იმუშავეს მეორე ბრიგადიდან ილია სიყმელმა, ივანე თანდარელმა, მარგარიტა სიყმელმა და სხვებმა, სულ 12 კაცმა. შემდეგ მათი ნამუშევარი გაყვეს კოლმეურნეთა რაოდენობაზე და თითეულს შრომადღეები დაუწერეს თანაბრად.

რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგების უყურადღებობის შედეგად კოლმეურნეობაში სარევიზიო კომისიას თავმჯდომარედ აირჩიეს უცოდინარი ა. თანდაშვილი. ცხადია, თანდაშვილმა დაკისრებული მოვალეობა ვერ შეასრულა. სარევიზიო კომისიის ფუნქციების ფორმალურად შესასრულებლად მიმართეს ასეთ პრაქტიკას: დაიქირავეს მოანგარიშე ა. ჩერქეზიშვილი, მოახდინეს კოლმეურნეობაში „რევიზია“ და გასამრჯელოდ მისცეს 350 მანეთი, ხოლო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს თანდაშვილს შრომადღეები დაურიცხეს. მეორე შემთხვევაში დაიქირავეს კოლმეურნეობის წევრი ვ. მახაშვილი და მისცეს 80 კილოგრამი ხორბალი. საინტერესოა, რატომ დარჩათ შეუმჩნეველი ეს უცნაური პრაქტიკა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკებს?

მთელ რიგ კოლმეურნეობებში თვითნებურად და არასწორად წყვეტენ მნიშვნელოვან საკითხებს, ანგარიშს არ უწევენ კოლმეურნეობის მართვის დემოკრატიულ პრინციპს და უხეშად არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას. მაგალითად, სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას კოლმეურნეთა ძალებით ფშავ-ომალოს გზის მშენებლობაში უნდა მიეღო მონაწილეობა. მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დაიქირავა რამდენიმე კაცი ვინმე ტაიმასხან გაზიევის მეთაურობით. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობისა და საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილების გამგის ინჟინერ ი. ბოჭორიშვილის მიწერილობით კოლმეურნეობიდან ტაიმასხან გაზიევს სამუშაოს ანგარიშში მისცეს 29.552 მანეთი, 1.130 კილოგრამი ხორბალი, 358 კილოგრამი კარტოფილი, 104 კილოგრამი ყველი, 20 კილოგრამი ხახვი, 245 ლიტრი ღვინო, 225 კილოგრამი ხორცი, ასევე არაყი, მარილი და სხვ. ასევე მოიქცნენ სოფელ ქვემო ბოდბის ბერიას სახელობისა და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

ერთი ფაქტიც. სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობაში ვერ ასრულებენ საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების გეგმებს. ასევე სანახევროდ არ შეუსრულებიათ წველადობის და ფრინველის მოშენების გეგმები. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მეცხოველეობის ფერმებში ხშირად ჰყავთ დაქირავებული მწყემსები. თითეულ მწყემსს თვეში აძლევენ ორ სულ ცხვარს, ამასთან ერთად მწყემსების კვება კოლმეურნეობის ხარჯზეა. მაგალითად, შარშან კოლმეურნეობაში დაიქირავეს 16 მწყემსი და თვეში გასცეს 32 სული ცხვარი. ეს პრაქტიკა რაიონში გამონაკლისი როდია. ამ გარემოებამ უარყოფითი გავლენა იქონია მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულებაზე.

პარტიის რაიონული კომიტეტის, რაისაბჭოს აღმასკომის და პროკურატურის მუშაკები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ დამნაშავეთა გამოსავლინებლად და პასუხისგებაში მისაცემად. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში ზეთის გამყიდველს, ამავე დროს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანს გ. სესიტაშვილს, კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ლ. ინაშვილს, კოლმეურნე ნ. ყარაბუღაშვილს დიდი რაოდენობით მითვისებული აღმოაჩნდათ ზეთი, კოპტონი და სხვ. დამნაშავეები პასუხისგებაში მისცეს. გამოძიება დაევალა რაიონის პროკურორის თანაშემწეს ამხ. ი. სიტრაშვილს. უკვე 7 თვე სრულდება, საქმე კი ძიებით ჯერაც არ არის დამთავრებული, დამნაშავეები დღესაც დაუსჯელი არიან. რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა ეს საქმეც დავიწყებას მისცეს.

სიღნაღის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ვალდებული არიან საფუძვლიანად შეისწავლონ კოლმეურნეობებში შექმნილი მდგომარეობა და მკაცრად დასაჯონ ყველა, ვინც არღვევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას და ითვისებს საკოლმეურნეო ქონებას.

შ. ბოჭუა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა სესიის დღის წესრიგში შეიტანოს საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის შესახებ

პარიზი, 14 დეკემბერი. (საკდესას სპეც. კორ.). დღეს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე განხილულ იქნა გენერალური კომიტეტის მიერ 27 ნოემბრის სხდომაზე ერთხმად მიღებული რეკომენდაცია გენერალური ასამბლეისადმი — შეტანილ იქნას მეექვსე სესიის დღის წესრიგში საკითხი „ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა და სხვა ქვეყნებას საშინაო საქმეებში მათი ჩარევის შესახებ, რაც გამოიხატა 100 მილიონი დოლარის ასიგნებით საბჭოთა კავშირში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ალბანეთსა და ზოგიერთ სხვა დემოკრატიულ ქვეყანაში და ამ ქვეყნების ტერიტორიის გარეთ სხვადასხვა პირთა შეგროვებისა და შეიარაღებული ჯგუფების ორგანიზაციის დასაფინანსებლად".

როგორც ცნობილია, წინადადება მეექვსე სესიის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის შესახებ წარადგინა სსრ კავშირის დელეგაციამ.

აგრეთვე ცნობილია, რომ გენერალური კომიტეტის 27 ნოემბრის სხდომაზე, როცა იხილავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში მათი ჩარევის შესახებ პუნქტის დღის წესრიგში შეტანის საკითხს, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გროსა, რაკი ვერაფერი თქვა სსრ კავშირის დელეგაციის კანონიერი მოთხოვნის წინააღმდეგ, იძულებული გახდა დათანხმებულიყო დღის წესრიგში ამ პუნქტის შეტანაზე.

გენერალური ასამბლეის დღევანდელ პლენარულ სხდომაზეც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი კვლავ იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ამ საკითხის განხილვისა, მაგრამ წამოაყენა მისი განხილვის სრულიად არაჩვეულებრივი წესი. მიუხედავად გენერალური კომიტეტის რეკომენდაციისა გადაეცეს ეს საკითხი პოლიტიკურ კომიტეტს, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა მოითხოვა, რომ იგი განხილულ იქნას მხოლოდ პლენარულ სხდომაზე.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ გენერალური კომიტეტის გადაწყვეტილება—რჩევა მიეცეს გენერალურ ასამბლეას შეიტანოს ეს საკითხი დღის წესრიგში და გადასცეს იგი განსახილველად პოლიტიკურ კომიტეტს — სრულიად მართებულია. სწორედ იმიტომ, რომ ამ საკითხს ღრმა პოლიტიკური ხასიათი აქვს, იგი მოითხოვს ნამდვილად გულდასმით განხილვას, რასაც სავსებით უზრუნველყოფს ის, რომ ეს საკითხი განიხილება პირველ კომიტეტში და, გარდა ამისა, კიდევ პლენუმზე.

შემდეგ გამოვიდა პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი ზაფრულა-ხანი, მანაც უარყო ამ საკითხის განხილვის არაჩვეულებრივი წესი, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატების დელეგატმა წარადგინა. რაკი დაინახა, რომ საბჭოთა კავშირის საჩივრის განხილვის შეცვლას მხარი არავინ დაუჭირა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა თვითონ მოხსნა თავისი წინადადება.

გენერალური კომიტეტის რეკომენდაციის კენჭი უყარეს და იგი მიღებულ იქნა 55 ხმით (ორმა თავი შეიკავა).

შემდეგ გენერალური ასამბლეა შეუდგა სსრ კავშირის, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთისა, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ მიმართული ტიტოს ცილისწამების შესახებ სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის რეზოლუციის განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტში ამ ცილისწამების განხილვამ სავსებით ცხადყო ტიტოს მთავრობის პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან იუგოსლავიის ნორმალური ურთიერთობის დარღვევისათვის, კომიტეტმა მიიღო იუგოსლავიის დელეგაციის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი.

გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ იგი რეზოლუციის ამ პროექტს კენჭს უყრის განუხილველად და რომ შემდეგ მისცემს საშუალებას დელეგატებს ილაპარაკონ კენჭისყრის მოტივების გამო. რეზოლუციის პროექტი მიღებულ იქნა 47 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავა).

სსრ კავშირის წარმომადგენელმა სობოლევმა, რომელიც გამოვიდა კენჭისყრის მოტივების განმარტებისათვის, განაცხადა: საბჭოთა კავშირის დელეგაციამ რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ მისცა ხმა როგორც სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში, ისე აქ, პლენარულ სხდომაზე, რადგან რეზოლუცია ემყარება სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ ცილისწამებასა და ინსინუაციებს.

ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უკრაინის სსრ წარმომადგენლებმაც განმარტეს, თუ რა მოტივებით მისცეს ხმა იუგოსლავიის რეზოლუციის პროექტს წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატები, განმარტავდნენ რა კენჭისყრის მოტივებს, არსებითად იცავდნენ ტიტოს ცილისწამებას.

თუმცა ტიტოს ხროვის წარმომადგენლისათვის საჭირო აღარ იყო კენჭისყრის მოტივების განმარტება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისცეს სიტყვა, რაც მან გამოიყენა საბჭოთა კავშირზე მორიგი ცილისმწამებლური თავდასხმისათვის.

ამით დამთავრდა პლენარული სხდომა.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ნოტა ინგლისის მთავრობისადმი

პრაღა, 15 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლასტიმილ ბორეკმა ინგლისის ელჩს პრაღაში ფილიპ მ. ბროდმიდს გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

13 დეკემბერს 19 საათსა და 21 წუთზე აკრძალულ სამხედრო ზონაში პრადის ჩრდილოაღმოსავლეთით პატრულმა, რომელიც ამ ზონას იცავდა, აღმოაჩინა იქ შესული უცნობი მამაკაცი. ამ ადგილის უშუალო სიახლოვეს არის დაფა წარწერით, რომელიც სიკვდილით დასჯას მუქარით აფრთხილებს ყველას, არ შევიდეს ამ რაიონში. უცნობი სწრაფად მიიპარებოდა ბნელში გარკვეული ადგილისაკენ, რომელიც ალბათ მისთვის წინდაწინვე იყო ნაცნობი, არ სარგებლობდა სინათლით, იცავდა სიფრთხილეს და აშკარად ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

ეს გარემოებანი, აგრეთვე უცნობის საქციელი, ცხადყოფენ, რომ მას სავსებით შეგნებული ჰქონდა, რომ შედის აკრძალულ სამხედრო რაიონში და ამით სჩადის კანონის საწინააღმდეგო ქმედებას. საჭირო ადგილამდე რომ მივიდა, მან საიდუმლო ადგილიდან მიწაში ამოთხარა ხვეული, პალტოს ჯიბეში ჩაიდო და მის ნაცვლად ჩადო მეორე ხვეული, რომელიც ხელში ეკავა გამზადებული.

ამ დროს მას ხმამაღლა დაუძახა პატრულმა. უცნობი არ დაემორჩილა პატრულის ძახილს და გაიქცა. პატრულმა სამჯერ ხმამაღლა გასძახა: „შედექ", მაგრამ უცნობი ამის შემდეგაც არ დაემორჩილა, პატრულმა მისი შეპყრობის მიზნით იარაღი იხმარა.

გაქცეული უცნობი მივიდა იმ ადგილამდე, სადაც გამზადებული ავტომანქანა იდგა ჩაქრალი სინათლით, და წასვლა სცადა. პატრულმა სროლით შეუშალა ხელი ავტომანქანის წასვლას და უცნობი დააკავა. მასთან ერთად დაკავებულ იქნა უცნობი ქალი, რომელიც ავტომანქანაში ელოდებოდა.

დაუყოვნებლივ გამოკვლეულ იქნა ადგილი, საიდანაც უცნობმა ის იყო ხვეული ამოიღო, რომელიც პალტოს ჯიბეში ჩაიდო, და გამორკვეულ იქნა, რომ ხვეული, რაც მან ამოღებულის ნაცვლად ჩადო, შეიცავდა 40 ათას ჩეხოსლოვაკურ კრონს ბანკნოტებით. ეს ფული დაქცეული იყო კონვერტის ქისაში.

დაკავებულის გაჩხრეკისას გამოირკვა, რომ ხვეული, რომელიც მან საიდუმლო ადგილიდან ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო, შეიცავს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო დაწესებულების საიდუმლო დოკუმენტების ფილმებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის უშიშროებისათვის, და 1951 წლის 10 დეკემბრით დათარიღებულ ჯაშუშურ მოხსენებას, რომელიც, სხვათაშორის, შეიცავდა ცნობას, რომ გადაცემულ იქნება სხვა ჯაშუშური ცნობები, რომლებიც შეეხებიან სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან საწარმოებს. ეს მოხსენება შეიცავდა აგრეთვე თხოვნას გარკვეულ ღონისძიებათა მიღების შესახებ, რომლებიც შემდგომი ჯაშუშური საქმიანობის შესაძლებლობას იძლევიან. მთელი ეს ჯაშუშური მასალა გულდასმით იყო შეხვეული ნეილონის სახვევში.

მას შემდეგ, რაც გამოირკვა ეს მნიშვნელოვანი გარემოებანი, რომლებიც მოწმობენ ხანგრძლივ და სისტემატურ ჯაშუშურ საქმიანობას, გამორკვეულ იქნა დაკავებულთა ვინაობა და მასთან დადგენილ იქნა, რომ უცნობი, რომელმაც ჯაშუშური მასალა ამოიღო წინასწარ გამზადებული საიდუმლო ადგილიდან აკრძალულ რაიონში და რომელმაც მას ნაცვლად 40 ათასი კრონი ჩადო ბანკნოტებით, არის ბატონი რობერტ ნეილ გარდნერი, პრაღაში ბრიტანეთის საელჩოს მეორე მდივანი, ხოლო უცნობი ქალი, რომელიც მასთან თანამშრომლობდა ზემოაღნიშნული ჯაშუშური საქმიანობის დროს, არის მის ცოლი გრეგორი მაინზი, პრაღაში ბრიტანეთის საელჩოს მოსამსახურე.

„ფორდ-8" მარკის დაკავებულ ავტომანქანას ჰქონდა დიპლომატიური ნომერი cd 13.394.

გამოძახებულმა ოფიციალურმა ექიმმა გასინჯა ორივე დაკავებული პირი და გამოარკვია: მის მაინზს აქვს მსუბუქი ჭრილობა, რაც მიყენებულია სროლით, რათა ხელი შეეშალათ ავტომანქანის წასვლისათვის. იგი დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქნა მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. ბ-ნ გარდნერს, თუ თავის ოდნავ გაკაწვრას არ ჩავთვლით არავითარი ჭრილობა არ მიუღია.

ამრიგად, ბ-ნ რობერტ ნეილ გარდნერს, ბრიტანეთის საელჩოს მეორე მდივანს, რომელიც ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა, და მის ცოლს გრეგორი მაინზს, ბრიტანეთის საელჩოს მოსამსახურეს, რომელიც მასთან თანამშრომლობდა ამ ჯაშუშური საქმიანობისას, დანაშაულის ადგილზე წაუსწრეს, როგორც ეს დაადასტურა თვითონ ბ-ნმა გარდნერმაც საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის თანდასწრებით.

ამიტომ საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს ბრიტანეთის საელჩოს მოთხოვნით, რათა ბ-ნმა რობერტ ნეილ გარდნერმა 24 საათის განმავლობაში, ე. ი. არაუგვიანეს 1951 წლის 15 დეკემბრის 18 საათისა, დატოვოს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორია.

მის ცოლ გრეგორი მაინზს მკურნალობას უწევენ. საგარეო საქმეთა სამინისტრო მოითხოვს, რომ განკურნების შემდეგ მან დაუყოვნებლივ დატოვოს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორია.

ზემოთმოყვანილმა ფაქტებმა კვლავ ცხადყოს, რომ ბრიტანეთის საელჩოს ზოგიერთი მოსამსახური, მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა და პროტესტისა ჩეხოსლოვაკიის მხრივ, სისტემატურად განაგრძობს ჯაშუშურ და სხვა მტრულ საქმიანობას, რაც მიმართულია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წინააღმდეგ და რისთვისაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობა უკვე წინათ იძულებული იყო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკიდან გაეძევებინა ბრიტანეთის საელჩოს დიპლომატიური და სხვა მოსამსახურენი, როგორც, მაგალითად, საელჩოს პირველი მდივანი გ. ჩ. ლ. გიბსონი, საავიაციო ატაშე უ. მერტონი, ვიცე-კონსული კაპიტანი ფილიპ ს. ტვაილდაში, ვიცე-კონსული ა. ლ. მაკლაფლინი, ვიცე-კონსული ლ. გ. გეიზა და სხვები. ამრიგად, ისინი ბოროტად იყენებენ თავიანთ დიპლომატიურ მდგომარეობას, აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლობის მოსამსახურეთა მდგომარეობას, ისე როგორც სტუმართმოყვარეობას, რასაც მათ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა უწევს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი მთავრობის განკარგულებით უღრესად მტკიცე პროტესტს აცხადებს დიპლომატიური ურთიერთობის ასეთი ბოროტად გამოყენების გამო, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა ნორმალურ ურთიერთობას.

ამავე დროს საგარეო საქმეთა სამინისტრო გთხოვთ აცნობოთ, თუ რა ღონისძიებანი მიიღო ბრიტანეთის მთავრობამ დასახელებულ ფაქტებთან დაკავშირებით და რა ღონისძიებათა მიღებას აპირებს ბრიტანეთის მთავრობა, რათა ინგლისის საელჩოსა და მისი მოსამსახურეებისათვის მინიჭებული დიპლომატიური პრივილეგიები გამოყენებულ არ იქნან ასეთი საქმიანობისათვის, რაც შეუთავსებელია საერთაშორისო სამართალთან და ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობასთან.

ბრინჯის ფასის დაკლება ჩრდილოეთ ვიეტნამის განთავისუფლებულ რაიონებში

პრაღა, 15 დეკემბერი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტო იუწყება, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამის განთავისუფლებულ რაიონებში ბრინჯის ფასმა ერთი მესამედით დაიკლო მიმდინარე წლის დამდეგთან შედარებით. ეს მიიღწევა რობის სავაჭრო ორგანოების შექმნის შედეგად. ეს ორგანოები ხელს უწყობენ წვრილი მრეწველობის განვითარებასაც, აწესრიგებენ ნედლეულით მომარაგებას და აძლევენ მას წარმოების საშუალებებს.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა ინგლისის საელჩოსადმი კაიროში

კაირო, 15 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ინგლისის კაიროს საელჩოსათვის გაგზავნილი 13 დეკემბრის ნოტის ტექსტი, რომელშიც განმარტებულია, რა მიზეზით მიიღო მთავრობამ გადაწყვეტილება ინგლისიდან ეგვიპტის ელჩის გამოწვევის შესახებ.

ნოტაში ნათქვამია: „ეგვიპტის მთავრობა ა. წ. 16 ოქტომბრიდან დიპლომატიურ ნოტებში ინგლისის მთავრობასა და ინგლისის კაიროს საელჩოსადმი განუწყვეტლივ აცხადებდა პროტესტს იმ მხეცობისა და აგრესიის უამრავი აქტის გამო, რასაც ინგლისის ჯარები ყოველდღე სჩადიან სუეცის არხის ზონაში მოსახლეობის, ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ, აგრეთვე იმ ზარალთან დაკავშირებით, რაც მათ სახელმწიფო და კერძო საკუთრებას მიაყენეს.

უკანასკნელი ასეთი საზიზღარი აქტი იყო 8 და 9 დეკემბერს სუეცის მახლობლად სოფელ კაფრ აბდუს დანგრევა და აყრა, რაც ტანკების, ჯავშნიანი მანქანების, არტილერიისა და ინგლისელ ჯარისკაცთა საშუალებით იქნა განხორციელებული. უხეში ძალადობის მარტო ამ აქტის შედეგად უსახლკაროდ დარჩა 300 ღარიბი გლეხის ოჯახი".

ნოტაში აღნიშნულია სისხლისღვრის თავიდან აცილების უნაყოფო ცდები ეგვიპტის მთავრობის მხრივ, რომელიც მოითხოვდა ინგლისის ჯარების გაყვანას პოზიციებიდან, რაც მათ 16 ოქტომბრიდან უკავიათ, და შემდეგ ნათქვამია: ნათელი ფორმით რომ გამოეხატა თავისი პროტესტი ახლანდელი ვითარების წინააღმდეგ, ეგვიპტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გამოიწვიოს თავისი ელჩი ლონდონიდან და მისცა მას განკარგულება დაუყოვნებლივ დაბრუნდეს კაიროში.

დასასრულ ნოტაში აღნიშნულია, რომ ეგვიპტის მთავრობა „იტოვებს სრულ უფლებას მოითხოვოს ანაზღაურება, განსაკუთრებით ამ ზარალის ანაზღაურება, რაც მოჰყვა ინგლისის აგრესიულ მოქმედებას სუეცის არხის ზონაში, აგრეთვე უფლებას იტოვებს მიიღოს ყოველი ღონისძიება, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს მოვლენათა შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით".

ინგლისის ჯარების აგრესიული მოქმედება სუეცის არხის ზონაში

კაირო, 15 დეკემბერი. (საკდესი). ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ 14 დეკემბერს სუეცის არხის ზონაში ინგლისელი ჯარისკაცების მიერ ისმაილიის მახლობლად ატეხილი სროლის შედეგად მოკლულ იქნა ორი ეგვიპტელი და დაიჭრა ერთი.

წყალდიდობის შედეგები იტალიაში

რომი, 15 დეკემბერი. (საკდესი). პრესის ცნობებით, მდინარე პოს ხეობაში ამასწინანდელი წყალდიდობის შემდეგ 95 ათასი ჰექტარი ფართობი ჯერ კიდევ დაფარულია წყლით როვიგოს და რეჯო-ემილიის პროვინციებში. ქალაქ ადრიაში, რომელიც ნაწილობრივ ჯერ კიდევ წყლით არის დაფარული, უკვე დაბრუნებას იწყებენ ლტოლვილთა ცალკეული ჯგუფები. ჩრდილოეთ და სამხრეთ იტალიაში წყალდიდობის შედეგად ლტოლვილთა საერთო რიცხვმა, შინაგან საქმეთა მინისტრის შელბის განცხადებით, 380 ათასს მიაღწია.

გუშინ განახლდა მოძრაობა მილან-ტურინის ავტოსტრადაზე, რომელიც მთელ რიგ პუნქტებში დანგრეულ იქნა წყალდიდობის პირველ დღეებში. სარკინიგზო მოძრაობა იტალიასა და შვეიცარიას შორის სიმპლონის გვირაბის საშუალებით ჯერაც არ აღდგენილა. მდინარე პოს წყალდიდობით დანგრეული ჯებირების აღდგენითი სამუშაოები ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს და შესამჩნევ შედეგებს არ იძლევა.

ძირითადი გარღვევის რაიონში ოკიობელოს მახლობლად ჯებირის გასამაგრებელ სამუშაოზე ხელისუფლებმა, როგორც გაზეთები იუწყებიან, მხოლოდ ასი მუშა დააყენეს. პოს წყალი კვლავ ფარავს მდინარისპირა დაბლობს.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

19 დეკემბერს

6.25 — დუნაევსკის ნაწარმოებები. 8.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 11.45 — ნარიმანიძის სიმფონიური სიცეკვაოება. 17.15—კამერული მუსიკის კონცერტი. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — ო. თაქთაქიშვილის სიმფონია. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით—არიები რუს კომპოზიტორთა ოპერებიდან. 20.45 — რიმსკი-კორსაკოვი. ციკლი — „ზღვასთან". 21.30 — ლიტერატურული გადაცემა. 22.50 — კომპოზიტორ გორდელის კვინტეტი. 00.05 — კონცერტი. პროგრამაშია სცენები ოპერიდან: „ტრავიატა".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი", „თბილისი", „იხანი", „კოლხიდა"—ტარას შევჩენკო; „ოქტომბერი", „სპარტაკი", 26 კომისრის სახელობის—პატარა დედა; „კომკავშირელი"—ახალგაზრდა პარტიზანები; „კოლმეურნე" — ოცნება გზაში; „დიდუბე"—პაბუკა ტაიგიდან.

მოქალაქე სერგო გარეგინის-ძე შავოიანმა, მცხოვრებმა მაჩაბლის ქ. № 20, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე კლავდია პეტრეს ასულ შავოიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის I ინსტანცია.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 15 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით წინანდელ ზღუდეებზე ეწევიან თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ და ზარალს აყენებენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებსა და ლისინმანელთა ჯარებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ იონჩხონის დასავლეთით, ჩხოლვონისა და იანგუს ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ არტილერიის, ტანკებისა და ავიაციის დახმარებით იერიში მოიტანა რამდენიმე დიდმნიშვნელოვან მაღლობზე, რომლებსაც სახალხო არმიის ნაწილები ინარჩუნებენ. წააწყდა რა სახალხო არმიის ნაწილების მძლავრ წინააღმდეგობას, მტერმა ბრძოლის ველზე დატოვა 400-ზე მეტი გვამი და დიდძალი იარაღი და უწესრიგოდ დაიხია.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების ვამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროების მშვიდობიან მოსახლეობას.

ფხენიანი, 16 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 16 დეკემბრის ცნობაში ნათქვამია:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით თავდაცვითს ბრძოლებს ეწევიან და დიდ ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

5 დღის განმავლობაში სახალხო არმიის ნაწილებმა მოკლეს, დაჭრეს და ტყვედ წამოიყვანეს მტრის 1.638 ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დავლა.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 15 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის მიერ კესონიდან გამოგზავნილ 14 დეკემბრის ცნობაში ნათქვამია:

იმ ქვეკომიტეტის დღევანდელ სხდომაზე, რომელიც დღის წესრიგის მე-3 პუნქტს განიხილავს, ჩვენმა დელეგატმა კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტზე ორივე მხარეს შორის უთანხმოების გონივრული მოწესრიგების მიზნით შეიტანა ექვსი პუნქტისაგან შემდგარი წინადადება. მან წინადადება წამოაყენა, რომ ქვეკომიტეტმა სერიოზულად განიხილოს და მიიღოს ეს წინადადება, როგორც პრინციპული შეთანხმება დღის წესრიგის მე-3 პუნქტის გადასაწყვეტად.

ქვემოთ მოყვანილია სრული ტექსტი ჩვენი წინადადებისა, რომელიც ექვსი პუნქტისაგან შედგება.

1. თვითეული მხარის კონტროლში მყოფმა მთელმა შეიარაღებულმა ძალებმა, მათ შორის რეგულარულმა და არარეგულარულმა ნაწილებმა, აგრეთვე სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებულმა პერსონალმა უნდა შეწყვიტონ ყოველგვარი საომარი მოქმედება 24 საათის განმავლობაში დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან.

2. თვითეული მხარის კონტროლში მყოფი მთელი შეიარაღებული ძალები გაყვანილ უნდა იქნან დემილიტარიზებული ზონიდან 72 საათის განმავლობაში დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან. არც ერთი მხარის არავითარი შეიარაღებული ძალები, გარდა ისეთი შეიარაღებული ძალებისა, რომელთაც პოლიციური ხასიათი აქვთ და რომელთა შესახებაც ორივე მხარემ სპეციალურად მიაღწია შეთანხმებას, ამ დროიდან არ უნდა შევიდეს დემილიტარიზებულ ზონაში. არც ერთი მხარის არავითარმა შეიარაღებულმა ძალებმა დემილიტარიზებული ზონის მიმართ არ უნდა ჩაიდინონ შეიარაღებული ძალადობის რაიმე აქტი. თვითეული მხარე, დაზავების შესახებ შეთანხმების პირობების შესაბამისად, უნდა განაგებდეს ადმინისტრაციულ საქმეებს დემილიტარიზებული ზონის იმ ნაწილში, რომელიც მდებარეობს მის მხარეზე სადემარკაციო ხაზიდან.

3. მთელი შეიარაღებული ძალები — სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო,—რომლებიც თვითეული მხარის კონტროლში იმყოფებიან, დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან ხუთი დღის განმავლობაში გაყვანილ უნდა იქნან მეორე მხარის ზურგისა და ნაპირების მახლობლად მდებარე კუნძულებიდან და წყლებიდან. თუ ეს შეიარაღებული ძალები აღნიშნულ ვადაში გაყვანილ არ იქნენ და მათი გაყვანის შეფერხებისათვის არ იქნა არავითარი ერთობლივად შეთანხმებული და პატივსადები მიზეზი, მეორე მხარეს უფლება აქვს უშიშროებისა და წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი შეიარაღებული პერსონალის წინააღმდეგ მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება.

4. საომარი დაზავების სიმტკიცის უზრუნველყოფის მიზნით, რათა გაადვილებულ იქნას ორივე მხარის მიერ უფრო მაღალწარმომადგენლობითი პოლიტიკური კონფერენციის მოწვევა, ორივე მხარემ უნდა იკისროს ვალდებულება დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ კორეაში არ შემოიყვანოს არავითარი სამხედრო ნაწილები, სამხედრო პერსონალი, არ შემოიტანოს არავითარი საომარი საჭურველი და საომარი მასალა. მაგრამ, თუ რომელიმე მხარისათვის საჭირო იქნა კორეაში თავისი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორიგეობა, იგი უნდა შეეკითხოს საომარი დაზავების კომისიას და მიიღოს მისი თანხმობა. მორიგე პირადი შემადგენლობის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ათას კაცს თვეში. ასეთი მორიგეობა უნდა წარმოებდეს ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთაგან შემდგარი მეთვალყურე ორგანოს ადგილზე მეთვალყურეობით და უნდა ხდებოდეს ზურგში გადმოტვირთვის პუნქტებში, რომელთა შესახებაც ორივე მხარე შეთანხმებას მიაღწევს.

5. თვითეულმა მხარემ უნდა დანიშნოს თანაბარი რაოდენობის წევრები საომარი დაზავების კომისიის შესაქმნელად, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა დაზავების შესახებ შეთანხმების განხორციელებისადმი და დაზავების შესახებ შეთანხმების ყოველი დარღვევის მოლაპარაკების გზით მოწესრიგებისადმი მეთვალყურეობისათვის. მეთვალყურეობისა და ინსპექციის ეს ფუნქციები უნდა განხორციელდეს ქვემომოყვანილი ორი დებულების შესაბამისად:

ა) თვით დემილიტარიზებულ ზონაში პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს საომარი დაზავების კომისიას და მის მიერ უშუალოდ გაგზავნილ ერთობლივ ჯგუფებს.

ბ) დემილიტარიზებული ზონის გარეთ და ზურგში გადმოტვირთვის იმ პუნქტებში, რომელთა შესახებაც ორივე მხარე შეთანხმებას მიაღწევს, აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც დაზავების შესახებ შეთანხმების დარღვევა მოხდა, საომარი დაზავების კომისიის დავალებით პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთაგან შემდგარ მეთვალყურე ორგანოს.

6. ორივე მხარე თანხმდება სთხოვოს ნეიტრალურ ქვეყნებს, რომლებიც კორეის ომში არ მონაწილეობენ, მათი თანხმობით გამოგზავნონ თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები მეთვალყურე ორგანოს — მეთვალყურე კომისიის შესაქმნელად. ამ მეთვალყურე ორგანოს—მეთვალყურე კომისიას,—რომელიც უფლებამოსილი იქნება საომარი დაზავების კომისიის მიერ, უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთაგან შემდგარი საინსპექციო ჯგუფების გაგზავნისათვის კომუნიკაციების ხაზებზე, რომელთა შესახებაც მხარეებს შორის მიღწეულ იქნება ურთიერთთანხმობა, ზურგში გადმოტვირთვის ისეთ პუნქტებში მე-4 პუნქტის შესრულებისადმი მეთვალყურეობის ფუნქციების განსახორციელებლად, რომელთა შესახებაც ორივე მხარე მიაღწევს ურთიერთშეთანხმებას და, როცა დაზავების შესახებ შეთანხმების დარღვევის შემთხვევები მოხდება დემილიტარიზებული ზონის ფარგლებს გარეთ, მოახდინოს საჭირო ინსპექცია ამ ადგილებში, სადაც ესა თუ ის დარღვევა მოხდება, ხოლო მეთვალყურეობისა და ინსპექციის შედეგები უნდა მოახსენოს საომარი დაზავების კომისიას. ორივე მხარემ ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთაგან შემდგარ ამ საინსპექციო ჯგუფებს უნდა მისცეს ყოველივე, რაც საჭიროა ზემოაღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად.

ინგლისის პრესა მხარს უჭერს კორეაში დაზავებას

ლონდონი, 15 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის პრესაში დაიბეჭდა მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც აღნიშნულია კორეაში ომის განგრძობის უპერსპექტივობა. სტატიების ავტორები მოითხოვენ რაც შეიძლება მალე დაზავებას.

„შობამდე დროებითი ზავის დადება,—წერს გაზეთი „სტარი",—სერიოზულად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას. მას მიიჩნევდნენ, როგორც მშვიდობისადმი ნამდვილი მისწრაფების გამოვლინებას".

ყოველკვირეული „ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშნ", რომელსაც მიაჩნია, რომ საომარი მოქმედების განგრძობა მხოლოდ გააუარესებს ინტერვენციონისტული ჯარების მდგომარეობას, მოუწოდებს „ამერიკის მოკავშირეებს კორეაში" მოითხოვონ დაზავება, „თუნდაც ამან წონასწორობა დაკარგვინოს ზოგიერთ ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწესა და გენერალს".

მოსწავლეთა რესპუბლიკური კონფერენცია

თბილისი. ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა მოსწავლეთა მე-7 რესპუბლიკური სამეცნიერო და ტექნიკური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ სასახლესთან არსებულ ტექნიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქართული ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ქიმიის და სხვა განყოფილებათა კაბინეტებში გაერთიანებული პიონერები, სულ 3.500 მოსწავლე. კონფერენციაზე მოსმენილ იქნა 1.000-ზე მეტი სამეცნიერო და ტექნიკური ხასიათის მოხსენება.

მოსწავლეთა ნამუშევრებს შორის მეტად საყურადღებო იყო ქუთაისის ქალთა პირველი საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლის ი. ლორთქიფანიძის, თბილისის ქალთა მე-10 საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლის ლ. ზაქარიაძის, თბილისის ქალთა პირველი საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლის ლ. ფიჩხაიას და სხვათა მიერ წარმოდგენილი ნაშრომები. საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის მე-10 კლასის მოსწავლის რ. გუგუშვილის ნაშრომმა „როგორ ავაგე ელექტროსადგური ღელეზე".

კონფერენციამ გვიჩვენა ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი დაინტერესება — ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლოს მეცნიერებას, ტექნიკას, შეითვისოს დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები.

მწერალთა კავშირში

ოთხშაბათს, 19 დეკემბერს, დღის 12 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში შედგება ქართული თანამედროვე საესტრადო რეპერტუარის განხილვა.

მოხსენებას წაიკითხავს მწერალი შ. აფხაიძე. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, ხელოვნების მუშაკები და ესტრადის მსახიობები.

სიღნაღის თეატრის ახალი დადგმები

სიღნაღი. (საქ. კორ.). სიღნაღის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წელს მაყურებელს უჩვენა: გ. ქელბაქიანის „თქმულება დიად მეგობრობაზე", ო. ჩიჯავაძის „დოლარის ბრჭყალებში", განაახლა გ. ბერძენიშვილის „მშვიდობის მტრედები", მოამზადა ახალი საესტრადო პროგრამა.

დადგმები ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს რ. ქართველიშვილს, მხატვრული გაფორმება — გ. ნადირაშვილს, მუსიკა—მელქისეთ-უხუცესს. ნაყოფიერად მუშაობენ მსახიობები გ. ფხოველიშვილი, ქ. გვაზავა, ს. ბაშინჯაღოვი, თ. მანველიშვილი, რ. აბრამოვი, ბ. რომანიშვილი, გ. ბაშინჯაღოვი, რ. ქართველიშვილი, ე. მოსესოვი, თ. მენთეშაშვილი, ა. პავლიაშვილი, ი. იოსებაშვილი, ვ. სულხანიშვილი.

თეატრის კოლექტივმა ახალი დადგმები უჩვენა აგრეთვე ლაგოდეხის, წითელწყაროს და გურჯაანის მაყურებლებს.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — პროფესიული კავშირების ორგანოების ანგარიშები და არჩევნები.

საერთო სათაურით „კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები" წერილები: 16 დეკემბერს ჩატარდა რსფსრ სახალხო სასამართლოების არჩევნები. ხალხის მაღალი ნდობა. ღირსეული კანდიდატი. აგიტატორი ამომრჩევლებთან.

სსრ კავშირის XIX საჭადრაკო პირველობის საზეიმო დახურვა.

ქართული მუსიკის კონცერტი მოსკოვში.

მეორე გვერდი — ბათუმის ისტორიულ ადგილებში.

„პრავდის" 17/XII მოწინავე—მუსიკალური ხელოვნების ახალი წარმატებებისათვის.

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე. ჩვენ გვწერენ. მკითხველთა წერილები. რედაქციის ფოსტიდან.

მესამე გვერდი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი თბილისში 1952 წლის 1 იანვრიდან აარსებს 3-წლიან სასწავლებელს, რომელიც მოამზადებს მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელებს (ლოტბარებს), ქორეოგრაფებს და დრამატული წრის ხელმძღვანელებს (რეჟისორებს). სასწავლებელი მოსწავლეებს მისცემს საშუალო სპეციალურ განათლებას.

პირველ კურსზე მიიღებიან 16-დან 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლა მაინც და აქვთ შესაფერისი მონაცემები სიმღერის, ქორეოგრაფიისა და დრამატულ წრეში მუშაობისათვის. მოსწავლეები, რომლებმაც 8-წლიანი სკოლა დაამთავრეს 1950 და 1951 წლებში და ყველა საგანში ნიშანი „5" აქვთ, სასწავლებელში მიიღებიან უგამოცდოდ.

გარდა სპეციალური საგნებისა, სასწავლებელში შემსვლელები აბარებენ მისაღებ გამოცდას 8 კლასის პროგრამის მოცულობით ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურულ კითხვაში (წერა-კარნახი და ზეპირი), სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი) და მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

სასწავლებელში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის თანახმად.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება დღის საათებში სასწავლებლის კანცელარიაში (თბილისი, ივანიძის ქ. № 3, კიროვის რაიონი, ტელეფონი № 3-44-72).

მოქალაქე ბაბილინე (ვარვარა) ივანეს ასულმა ძიძიკაშვილმა, მცხოვრებმა გოგებაშვილის მე-2 გასავალში № 14, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე დავით ივანეს-ძე შავშიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მეხუთე კურსის პირველი ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან კარლო გრიგოლის-ძე ბერაიას გარდაცვალებას.

და ბაბო, სიძე იაკობ კოსტავა იუწყებიან გიორგი ყაფლანის-ძე ნიორაძის გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები იუწყებიან გრიგოლ ექვთიმეს-ძე დონაძის გარდაცვალებას.

შვილები ქეთევან, მამია, სიძე დ. კაკუშაძე, რძალი მარო ზეიადაძე, შვილიშვილები მედეა, ნია, ნანა, დითო, კოტე, ლალი იუწყებიან ევა ნიკოლოზის ასულ დევდარიანის გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XII, ს. ხარაგოულში.

მეუღლე აბიბო, შვილები ალექსანდრა მეგრელიშვილი-ქებურია, ნანო, შვილიშვილი თემურ, და ალექსანდრა, სიძე გ. გიორგაძე იუწყებიან ილია ანტონის-ძე მეგრელიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-XII, 7 ს. გამოსვენება 20-XII, 4 ს. კვალის, 12.

მეუღლე კოტე, შვილები კოტე და დევისა ბეჟვაიები, მშობლები მარო, ალექსანდრე წიწივაძეები იუწყებიან ანგელინა ალექსანდრეს ასულ ბეჟვაიას გარდაცვალებას. გამოსვენება 19-XII, 3 ს. სამკურნალო კომბინატიდან, უნივერსიტეტის, 5.

შვილი გიორგი, რძალი ნადია, შვილიშვილები მიხეილ ოჯახით, არაკლი და ნუცა მჭედლიშვილები იუწყებიან მარიამ გიორგის ასულ მჭედლიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 18-XII, 3 ს. კალინინის, 30.

შვილები ივანე, შალვა, ნაზიკო, რძლები მარიამ, ქეთევან, შვილიშვილები გოგი, მიშა, ვახტანგ იუწყებიან პასიკო ანტონის ასულ ქათამაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XII, ს. ივანდიდში (წულუკიძის რ.).

შვილები გოგი, შალვა, ვარია, რძლები თამარ, ნინო, ნათელა, შვილიშვილები ნათელა, თამარ, რუსუდან, ნუგზარ ზუბიაშვილები იუწყებიან სალომე მიხეილის ასულ ზუბიაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 18-XII, 4 ს. გოგებაშვილის, 20.

შვილები კლიმენტი, აკაკი, ილიკო, მანა, ცარო, ლენა, შურა, რძალი ჰირო გვაზავები, სიძეები ვ. ლიპარტიანი, ბ. გიბასონია, შვილიშვილები თამარ, ნუნუ, ვიქტორ, ნათელა, რეზო, თამაზ იუწყებიან ფოტინე ხაბას ასულ გვაზავას გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XII, აბაშაში, გამოსვენება ნინოშვილის, 20.

და ანეტა, ნინო, დისწულები ვლადიმერ, კლიმენტი ლეჟავები, რომეო, მელიტა ხანგოშვილები ოჯახებით იუწყებიან სამსონ ბიგვანის-ძე დევიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 18-XII, 3 ს. ენგელსის, 46.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-96-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, უფროსებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05723